სპეციალური გაზეთი

№21 (702)
ოთხშაბათი
21 ივნისი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

მთავარია რას ფიქრობს ქართველი ხალხი



„რუბლიაკა“, ანუ ღია წერილი ყველას, ვისაც ქვეყნის შენება თანამდებობრივად ევალება!

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა 10 საკითხი განიხილეს.

განსახილველ საკითხთა შორის იყო „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის საფუძველზეც ჯანდაცვის სამინისტრო ღვიძლის ტრანსპლანტაციის ძვირადღირებულ ოპერაციას სრულად დააფინანსებს.

აქამდე მოქმედი პროგრამით, ღვიძლის ტრანსპლანტაცია დადგენილი ტარიფის ფარგლებში ფინანსდებოდა არა უმეტეს 70 000 ლარით, პაციენტის თანაგადახდის წილი კი, 50 000 ლარს შეადგენდა. მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის სერვისების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტს თანაგადახდის წილი მთლიანად მოეხსნა და ჯანდაცვის სამინისტრო მომსახურებას სრულად - 120 000 ლარით დააფინანსებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ორგანოგადანერგილი პირები შშმ სტატუსის დადგენის უფლებით ვერ სარგებლობდნენ, რისთვისაც შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე წლის იანვარში და ღვიძლის, გულის ან თირკმლის გადანერგვა მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს წარმოადგენს.

დღევანდელ მთავრობის სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის წევრებმა განიხილეს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის N145 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”, რომლის საფუძველზეც 2023 წლის 1 ივლისიდან გაიზრდება ბავშვის ბენეფიტის ოდენობა 150 ლარიდან 200 ლარამდე თითოეულ 16 წლამდე ასაკის ბავშვზე.

აღნიშნული ცვლილება შეეხება დაახლოებით 233 000 ბავშვს. პროგრამის ბიუჯეტი ნახევარ მილიარდ ლარამდეა.

ირაკლი ღარიბაშვილი ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) პრეზიდენტს, დერეკ მიტჩელს შეხვდა

საუბარი შეეხო NDI-ის ხანგრძლივი და აქტიური ჩართულობის მნიშვნელობას საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისა და კარგი მმართველობის მხარდასაჭერად.

გამოითქვა მზაობა, რომ საქართველოს მთავრობასა და NDI-ს შორის არსებული წარმატებული თანამშრომლობის დინამიკა გაგრძელდება და მომავალში არაერთი მნიშვნელოვანი ერთობლივი პროექტი განხორციელდება.

ყურადღება დაეთმო საქართველოსა და აშშ-ს შორის სტრატეგიულ პარტნიორობასა და აშშ-ის მხრიდან 30 წლის განმავლობაში გაწეული ურყევი მხარდაჭერის მნიშვნელობას.

მხარეებმა ისაუბრეს 12 პრიორიტეტის წარმატებით განხორციელების პროცესზე. მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ერთგულება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისადმი. ითქვა, რომ ქვეყანა კანდიდატის სტატუსის მოლოდინშია.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი რევაზ ჯაველიძე და NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი ალან გილამი ესწრებოდნენ.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, საქართველოს დემოგრაფიულ საკითხთა განმხილველი საბჭოს სხდომა გაიმართა

სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ჩამოყალიბდება მინისტრების მოადგილეებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უმოკლეს ვადაში მოამზადებს კონკრეტულ პაკეტს დემოგრაფიული ტენდენციების გაუმჯობესების მიმართულებით გასახორციელებელ ღონისძიებებზე.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სხდომაზე დემოგრაფიული განვითარების ძირითადი მიზნები განიხილეს. საბჭოს წევრებმა დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით არსებულ საუკეთესო და რელევანტურ პრაქტიკასა და საერთაშორისო გამოცდილებაზე იმსჯელეს.

ამასთან, განიხილეს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშემწყობი ღონისძიებები, რეკომენდაციები და ინიციატივები. იმსჯელეს ჯანდაცვის, სოციალური სფეროს, დასაქმების ხელშეწყობის, განსახლებისა და მიგრაციის მიმართულებებით არსებულ ინიციატივებზე.

„ჩამოყალიბდება მინისტრების მოადგილეებისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უმოკლეს ვადაში მოამზადებს კონკრეტულ პაკეტს რაც იქნება ყველაზე მეტად მისაღები საქართველოს რეალობის გათვალისწინებით, იქნება ოჯახის გაძლიერების პოლიტიკაზე ორიენტირებული და ჩამოაყალიბებს იმ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რაც შემდეგ აისახება პროგრამებში იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ სხვადასხვა მიმართულებით დემოგრაფიული ტენდენციების გაუმჯობესებას, “- განაცხადა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილე თამარ გაბუნიამ სხდომის დასრულების შემდეგ.

ირაკლი ღარიბაშვილი EMAAR PROPERTIES დამფუძნებელსა და მმართველ დირექტორს შეხვდა

შეხვედრაზე, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, სხვადასხვა მიმართულებით პროექტების განხორციელებაზე იმსჯელეს.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტული პროექტების შესწავლის მიზნით, კომპანიის წარმომადგენლებმა რამდენიმე ვიზიტი უკვე განახორციელეს საქართველოში.

პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მიესალმება ქვეყანაში **Emaar Properties**-ის მხრიდან ინვესტირების სურვილს.

Emaar Properties მრავალეროვნული უძრავი ქონების განვითარების კომპანიაა, რომელიც არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მდებარეობს. კომპანია 30 მილიარდზე მეტ აქტივებს ფლობს მსოფლიოს მასშტაბით და აზიის, ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის არაერთ ქვეყანაში ოპერირებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი და აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე.

კახა კალაძე: ძალადობა კატეგორიულად მიუღებელია და დაუშვებელია მისი წახალისება, რასაც ცდილობს ოპოზიცია

განსხვავებული მოსაზრებაზე პასუხი არ უნდა იყოს ძალადობა, - ამის შესახებ დედაქალაქის მერმა მედიის მხრიდან შესაბამისი შეკითხვის პასუხად განაცხადა.

მისი თქმით, ძალადობა კატეგორიულად მიუღებელია და დაუშვებელია მისი წახალისება, რისი მცდელობაც აქვს ოპოზიციას.

„რა ძალადობის ფაქტებზე საუბრობთ საერთოდ და ძალადობის რომელ ფაქტს ახალისებს „ქართული ოცნება?! ძალადობა კატეგორიულად მიუღებელია, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს ეს. რაც არ უნდა განსხვავებული აზრის მოსმენა გვიწევდეს, ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ და პასუხი არ უნდა იყოს ძალადობა. არ უნდა ხდებოდეს ძალადობის წახალისება. როდესაც პოლიციელს „მოლოტოვის კოქტეილს“ ესვრიან, აქვთ მცდელობა, ცოცხლად დაწვან პოლიციელები, ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლები კი გამოდიან და სურთ გმირად შერაცხონ ასეთი ადამიანი, ეს დამაზიანებელია“, - აღნიშნა კახა კალაძემ.

კახა კალაძე: ჩვენი ნებისმიერი თანამშრომელი მზადაა, გამოძიების კითხვებს პასუხი გასცეს

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, მერიის ნებისმიერი თანამშრომელი მზადაა, ვაკის პარკის ტრაგედიასთან დაკავშირებით გამოძიების კითხვებს პასუხი გასცეს, თუმცა მერია არ აპირებს მონაწილეობა მიიღოს შოუებში, რომელთა დადგმასაც გარკვეული პოლიტიკური ძალები ცდილობენ.

„სწორად მოქცეულან, თუ არ მივიდნენ, მე მივესალმები მათ გადაწყვეტილებას, იმიტომ რომ ძალიან მძიმე ტრაგედია მოხდა და ამ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. გამოძიების ფარგლებში თუ რაიმე კითხვა არსებობს, ყველას გაეცემა პასუხი. რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც აღნიშნული საკითხით მანიპულირებას ცდილობენ, საერთოდ არ აინტერესებთ ადამიანის ბედი და ჯანმრთელობა. მათი მთავარი მიზანია, როგორმე რაღაც მოაწყონ, შოუ დადგან. ჩვენ ამის შესაძლებლობას არავის მივცემთ. მიმდინარეობს გამოძიება, თუ გამოძიებიდან გამომდინარე საჭირო გახდება ვინმეს დაკითხვა, მერიის ნებისმიერი თანამშრომელი მზად არის, თუმცა თბილისის მერია ამ უნიჭო შოუებში მონაწილეობას ნამდვილად არ აპირებს“, - განაცხადა კახა კალაძემ.

„რუბლიაკა“, ანუ ღია წერილი ყველას, ვისაც ქვეყნის შენება თანამდებობრივად ევალება!

„ჟურნალისტებს ძალიან უჭირთ, „რუბლიაკა“ ხოშტარიას მიერ რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩარიცხული რუსული რუბლების შესახებ პოზიციის დაფიქსირება. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სინამდვილეში, რუსული თემა კი არ არის გამაღიზიანებელი, თქვენ, უბრალოდ, იყენებთ ამ თემას, რათა დააზიანოთ სახემწიფოს ინტერესები“, — გვითხრა ბატონმა ირაკლი კობახიძემ.

ბატონო ირაკლი, სიმართლე სინათლეა!

არც ის მინდა, რომ მწარედ გამომივიდეს, მაგრამ ამდენის მოთმენა უკვე შეუძლებელია!

ე.წ. გავრილოვის ღამე ჟურნალისტებმა მოვაწყვეთ? კიდევ ბევრი „ღამე“ იყო — ჩამოთვლას აზრი არ აქვს...

არიან ჟურნალისტები და არიან „ჭურნალისტები“, ყველას ერთ ქვაბში ჩაყრა, უბრალოდ, უხერხულია.

არაფერ შუაში არ არის არცერთი ჟურნალისტი, როდესაც ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს უცხო ქვეყნის მეტიკვნიტა ელჩებზე დაქვემდებარების პრინციპი; არსებობს რეზიდენტი პრეზიდენტი; უცხო ქვეყნების მიერ დაფინანსებული თავგასული ე.წ. ორგანიზაციები და ა.შ. არაერთი ხორცმეტი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი.

როდესაც ქვეყნის მოსახლეობას გვეუბნებით, რომ კეზერაშვილები, ხოშტარიები და ა.შ. დიპლომატებისგან მართებულად აღიქვამენ ბილწსიტყვაობისა და პოლარიზაციის წამახალისებელ განცხადებებს, როგორც მწვანე შუქს და უკან მიდევნულ ლამპრად განმარტავთ, ჩვენ არ გვჭირდება პოლარიზაცია, პირიქით, დეპოლარიზაციას ვესწრაფვითო და კონკრეტულ დიპლომატებს მოუწოდებთ, მომავალში ბილწსიტყვაობისა და პოლარიზაციის წახალისებისკენ თავი შეიკავონ, დიპლომატიური კუთხით, დიდი ალბათობით, მისაღები ფორმაა, მაგრამ ხალხი გაიზარდა, აღარ კმაყოფილდება მცირედით თავსმოხვეული კოჰაბიტაციის უპირობოდ დასრულებას ითხოვს!

რაგინდ ვიფაფხუროთ, ვერასდროს შედგება სახელმწიფოდ ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა. კი, შეიძლება, სხვა უფრო მცირე იყოს, მაგრამ კარგად გადახედეთ, სად მდებარეობს, რა ეთნიკური შემადგენლობა აქვს, რა გეოგრაფიული მდებარეობა და ა.შ. ხოლო შემდგომ ჩვენს საქართველოს გადახედეთ.

საქართველო ის უნიკალური ქვეყანაა, რომელსაც, მიუხედავად ყოველმხრივი სიმცირისა და მცირერიცხოვნობისა, იქით აქვს ულტიმატუმები წასაყენებელი დიდ ქვეყნებთან. ეს თქვენც ხომ იცით?

შესაძლოა, დიპლომატიისა არაფერი გამეგება ერთ კინკილა რიგით მოქალაქეს, მაგრამ ღირსება კი, შესაძლოა, ანტარქტიდულ პინგვინსაც ჰქონდეს...

რატომ გვართმევთ საქართველოს მოქალაქეებს ღირსებას, როდესაც მავანთა მითითებით კანონებს იგნორირებას უკეთებთ და შერჩევით სამართალს გვიწესებთ?

სწორედ იმ მავანთა გამოა, რომ რომ თავზე გვენგრევა ქვეყანა-საქართველო, თქვენ კი ვიღაც „რუბლიოვკას“ რუბლებს დასდევთ უმიზნოდ და უაზროდ. ის თუ რუბლებს იღებს კონა-კონად, ვიღაც დოლარს იღებს, ევროს, იუანს ან დინარს...

ქვეყანა ცირკად გადაიქცა, იაფფასიან შაპიტოდ!

დიახ, როდესაც „სისხლიანი ნაცი“ დაგიძახებს მოღალატეს, რუსს და კიდევ ბევრ სხვა სალანძღავ სიტყვას და პასუხს მყისიერად არ გასცემ, საზოგადოება ნამდვილად იფიქრებს, რომ მტყუანი ხარ, ან სუსტი. სიმართლეა და სწორი აღქმა, მაგრამ ხეირი? სამართალი?

გინება ყველამ იცის და, შესაბამისად, სამწუხაროდ, ყველა ყველას ვაგინებდით, ვაგინებთ და, სავარაუდოდ, ყოველთვის შევაგინებთ, მაგრამ იმ გინებამ თუ შედეგი არ დადო, სიტყვებით კინკლაობა გამოდის, ორთქლის ერთჯერადი გამოშვება და სხვა არაფერი.

ხალხი, რომელსაც საკუთარ თავზე აქვს ნაწვნევი წინა ხელისუფლების სისხლიანი, ფაშისტური რეჟიმი და ფაქტობრივი აუტანლობა აქვს იმ რეჟიმის ყველა ტაშის დამკვრელისადმი, დღეს მათთან ერთად ერთნაირი თიკუნით მოგიხსენიებენ, თქვენ კი უმწოდ შლით ხელებს და მხოლოდ დიპლომატიურ ნაბიჯებს დგამთ.

მე პარლამენტში შემოსვლელად ადმინისტარაციული პროცედურების გავლა მჭირდება. გეკითხებით, საიდან ჩნდებიან ხოლმე გაურკვეველი წარმოშობის სუბიექტები პარლამენტის სხდომათა დარბაზში? გავრილოვის „გამოცხადებისა“ არ იყოს, ვინ ვის იწვევს პარლამენტში და რატომ, ძნელი გასარკვევია?

ერთხელ და სამუდამოდ თუ არ დაერქმევა ყველაფერს თავისი სახელი, ჩვენი საშველი არ არის!

დღეს ერთი „რუბლისმოყვარული მოხალისე ლяკისტი“ გადმოდგება ქანდარიდან და ისეთ ისტერიკებს დაიმართებს, ბავშვი ჩავარდება ფსიქოლოგიურ დარტყმის ორმოში, ხვალ — მეორე! გუშინ ერთი ჩაენეხვა სხვის კუთვნილ სავარძელში და „რაღაც ღამედ“ გადააქციეს; გუშინწინ სასტვენებით რეტდასხმულ ქალთა კამპანია მართავდა „შოუს“; იმის იქით ვიღაც ნაგვის მანქანას ახტებოდა, გუშინწინებზე პარლამენტის წინ თქვენი ფოტოებით ოხუნჯობდნენ... და ა.შ. ვინ რას შეახტება, რატომ და რისთვის, არავის აინტერესებს, ფაქტია — კანონი არ კანონობს!

სოფელს ვერც ორი ხმა აშენებს და ვერც „მრავალჟამიერი“!

„სოფლის შენება“ სოფლის იმ მაცხოვრებლებისგან იწყება, რომლებიც იმ სოფლის მკვიდრები არიან!

ადრე თუ მარილი იყო საურთიერთობო „ვალუტა“, ახლა მეგობრობაა და ის მეგობარი ახლოში უნდა ეძიო. ჩვენივე წინაპრების ბრძნული ნათქვამია, ავი მეზობელი გერჩივნოს კეთილ, მაგრამ შორეულ ნათესავსო...

როდესაც ხელისუფალი ხარ, ჯერ შენი „ляკები“ უნდა დაითვალო და დანომრო, შემდეგ „ტომ-სემები“ და აუხსნა ყველას, რომ სახელმწიფოებრიობა გინდა და არა ვასალობა!

ხალხი დაიღალა მუდმივი რყევით, რაც აღარ სრულდება აგერ უკვე რამდენი ათეული წელია!

ვინ იყო ან ვინ არის ვინმე თინა ხიდაშელი, რომელიც „ოცნებამ“ აქცია პერსონად (სამარცხვინო ე.წ. თავდაცვის მინისტრი), მხარედ რომ გამომდგარა, ხელისუფლებასთან ორი მთავარი პრობლემა გვაქვს, რის გამოც ჩვენს ქვეყანაში კრემლისთვის სასარგებლო პროცესები მიმდინარეობს, უცოდინრობა, რომელიც ამ ხელისუფლების უცოდინრობის მაკვალიფიცირებელი ნიშანია და ამ უცოდინრობით გამოწვეული შიშიო. ეს ის თინა არ არის, „ის“ რომ არის? ვის ამუნათებს? ბოლო-ბოლო, იმ პარტიის წევრი არ იყო, რომელიც „ლოიალურად“ დაუშვა საბჭოთა **КГБ**-მ?

მეფეებს მასხარები ჰყავდათ და მათ უსმენდნენ, მათგან იგებდნენ ხალხის ხმას, ნაზირ-ვეზირებს — ასეთი ქვეშევრდომები არ ჰყოლიათ...

მეც ერთი მასხარა ვიქნები და გაიგონეთ გამგებებმა, ვისთვისაც ვამბობ, შენობა სახურავიდან არ შენდება, საძირკვლიდან იწყება მისი შენება!

სანამ „არა“-ს“თქმას არ ისწავლით, ვერ ავაშენებთ სახელმწიფოს!

ღვთით ბოძებული ჩვენი ბევრი უნიკალურობის გამო საქართველო ყოველთვის საჯიჯგნი იყო და აღარ გვინდა ასე იყოს, ხომ შეგვიძლია, კი არ გვჯიჯგნონ, დაგვიყვავონ და მოგვეფერონ?

ბატონი პრემიერი, რომ იტყვიან, წელებზე ფეხს იდგამს და უხვი სიტყვაკაზმულობით გვიამებს სმენას; ასევე სხვებიც! მადლიერი გახლავართ ყველასი, მაგრამ არ შეიძლება ისე, რომ ქვეყნის ინტერესები გადაყოლოთ ვიღაც გზააბნეულებს; რაღაც არანორმალურობას; უმრავლესობისთვის მიუღებელ უმცირესობებს; არარსებულ ღირებულებებს, რომელიც სწორედ რომ უღირსობაა და არა ღირებულება!

ჩვენ ძველი კოლხების შთამომავლები ვართ!

პირველი სამეფო ხელისუფლება, რომელიც კოსმოსიდან დედამიწაზე დაეშვა, ჩვენ ვიყავით, ჩვენი დიდი წინაპრები იყვნენ!

მსოფლიოს ჩვენ მივეცით არაერთი საუნჯე!

ნუ გააბედვინებთ მავანთ, რომ თავიანთ დაკრულზე გათამაშონ!

ნუ გააბედვინებთ მავანთ, რომ დაგვავიწყონ, ვინ ვართ და საიდან მოვდივართ!

გამოდგა ბატონი იენს სტოლტენბერგი და ამბობს: თუ უკრაინამ არ გაიმარჯვა ამ ომში, მისი წევრობა ნატო-ში, საერთოდ არ განიხილებაო...

მსოფლიოშია საგიჟეთი და მე ქართული შაპიტო მიკვირს?

ჟურნალისტებიო...

მე ჩემს „გილდიას“ ვიცავ, იმ გილდიას, რომელიც ხალხს უყვარდა, ეამაყებოდა მისგან ყურადღება... ჟურნალისტი წოდება იყო, რომელსაც მართალი კაცი ეფოფინებოდა, დამნაშავეს კი ეშინოდა. ახლა? შიშით ვერ მითქვამს ჟურნალისტი ვარ-მეთქი...

ვინ გააფუჭა ჟურნალისტები და, შესაბამისად, ვინ გაუფუჭა რეპუტაცია? — გადახედეთ 2003 წლიდან მოყოლებული, ე.წ. წამყვან ტელევიზიას და დაინახავთ, საიდანაც აყროლდა თევზი...

ჟურნალისტი რაშია დამნაშავე, როდესაც მას ჟურნალისტობის უფლებასაც ართმევ და მხარედ აქცევ, მიკერძოებულ სუბიექტად და არა სიმართლისმთქმელ რუპორად?

ამ ფონზე ყოვლად უადგილოდ გამოჩნდება გენიალური რეჟისორის ზაზა ურუშაძის გახსენება, მაგრამ, რადგან ლაპარაკი ფაშისტური სექტიდან დაიწყო, სიტყვად მაინც ვთქვათ. ხელოვანის ბედი, ვფიქრობ, ყოველთვის იღბალზეა დამოკიდებული. როდესაც ზაზამ „მანდარინები“ აჩვენა დაინტერესებულ საზოგადოებას, არსად ჩანდა, რომ ის ქართული გონის, გენის, ნიჭის ნაჟური იყო — ამაზეც თუ შეიძლებოდა „სპეკულანტობა“, ნამდვილად ვერ წარმომედგინა, არადა, ვინც ახლა ამაზე ყვირის, სწორედ მათ გამო არ მისცეს დაფინანსება ზაზას.

მახსოვს, სკოლაში ასეთი თემა მოგვცეს „დიდოსტატის ბედი ტირანულ სახელმწიფოში“. რაც გინდოდა, ის შეგეძლო მოგეთხრო, მაგრამ აქცენტი იყო არსაკიძეზე. რა თქმა უნდა, ამ თემის დამწერი არავინ იყო, კიდევ ორი თემა გვქონდა ასარჩევად. რატომ მოვინდომე და რა დამემართა, არ ვიცი, მაგრამ დავწერე და რაც იმ დროისთვის სკოლაში მქონდა ნასწავლი, ყველაფერი ჩავატიე ორ საათში. იმის თქმა მინდა, რომ ტირანულ სახელმწიფოში ასეთი ბედი აქვს ხელოვანს, — ზაზა კი ვის გამო არ დააფინანსეს?

ისევ ბავშობას გავიხსენებ: ჩემს ბავშობაში „სპეკულანტობა“, „კომბინატორობა“, „ბარიგობა“ და ა.შ. ფრიად სამარცხვინოდ ითვლებოდა. სად ვარ ახლა, რა ქვეყანაში, რა განუკითხაობაში, რომ ეს ყველაფერი საამაყოდ იქცა?

„ლამაზი სიტყვები“ შემოვიდა ქართულ მეტყველებაში, თითქოს გვიჭირს საკუთარი ლექსიკით საუბარი და გამოგვიცხადებს ვინმე, ფაქტობრივად, უფლებაშეზღუდული „თმენის ვალდებულება მაქვსო“. შე კაი კაცო, ქალო თუ ადამიანო, იმასაც აქვს, ვინც სამასხაროდ გაქცია, მაგრამ ის აბიჯებს იმ ბარიერს და არაფერი ემართება და თქვენ რა თმენის ვალდებულება აიტეხეთ?

სათქმელი და მისათითებელი იმდენია, „ყაბუს-ნამეს“ გადაწონის, მაგრამ გამგები სად არის, ვინ არის, რა გვეშველება?

P.S. არსებობს ვერსია, რომ ქართველების დიდი წინაპარი იმ ძველი დროის ქურუმ-განმანათლებელი ნოე იყო. საქართველოს ეკლესიის მღვდელმსახურებს მაინც ვთხოვოთ გამოლოცვა, სხვაგვარად, ვატყობ, მძიმე დღეში ვართ არამხოლოდ ჩვენ, საქართველო, არამედ, სრულიად მსოფლიო...

ნინო დაუშვილი

დამოუკიდებლობას რაღაც კავშირზე ვცვლით...



გვესაუბრება
მწერალი მერაბ შათირიშვილი:

— ბატონო მერაბ, გასულ კვირას პარლამენტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის წარმომადგენელმა მმართველი გუნდის დეპუტატებს თავზე რუსული რუბლები გადააყარა. რა პოზიცია გაქვთ ამ საკითხზე?

— ეს საერთაშორისო კონვენციის დარღვევაა, რაზეც დაუყოვნებლივ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას. თავად მე, შშმ პირებს ვემსახურები. ჩვენ შშმ პირთა სამი პანსიონატი გვაქვს. შეძრული ვარ იმ ფაქტით, რაც პარლამენტში მოხდა. ადამიანის თვითმკვლელობამდე მიყვანა ხომ არის დასჯადი, ანალოგიურად ისჯება შშმ პირის პროვოცირება და მისი იმ კონდიციამდე მიყვანა, როცა პოლიტიკურ ინსტრუმენტად არის გამოყენებული. ეს პირდაპირ შშმ პირთა უფლებების დარღვევაა. ამ ფაქტს სხვა შეფასება ვერ მიეცემა. შშმ პირის პროვიცირება და ასეთ აქტში მისი გამოყენება სისხლის სამართლის დანაშაულია. ამათ სხვა რა დარჩენიათ, პროვოცირებენ, თითქოს ხელისუფლება რუსეთის დაქირავებულია. პარალელურ რეჟიმში პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი ევროპაში მაღალი დონის შეხვედრებს მართავს. არასასიამოვნო შეფასებებსაც ვისმენთ კორუფციონერი ევროპარლამენტარებისგან, რომლებიც ნაცებს ლობირებდნენ და ახლაც მათი ფინანსებით იკვებებიან. ახლა რუსულ ნარატივს „აწვებიან“. არადა, რუსეთს ყველაზე მეტი სიკეთე სწორედ მათ მოუტანეს. 2008 წელსაც მათ ემსახურებოდნენ, როცა რუსები საქართველოში ტანკებით შემოვიდნენ და დღემდე მათ ემსახურებიან. პირდაპირ გეტყვით: როცა რუსი ტურისტი საქართველოში შემოდის, ნაცები მის დაშინებას ცდილობენ: აგრესორს, ოკუპანტს ეძახიან. მერე ამ ხალხს გვერდით იყენებენ და ბანაკებს ქმნიან. დიახ, დიახ, არ მოგესმათ — მაგალითად, ურეკში შექმნილია რუს დემოკრატთა ბანაკი, სადაც „ტუსოვკები“ იმართება. ბანაკში 150-მდე რუსი ტურისტი იმყოფება, რომლებიც პუტინის წინააღმდეგნი არიან. მათთვის ყოველდღე ზურა გირჩი ჯაფარიძე თანამედროვე დემოკრატიაზე ლექციებს ატარებს. აქ მთავარი ორი მომენტია: მათ, როგორც რუს ტურისტებს, პუტინის აგრესიასა და დემოკრატიაზე ესაუბრებიან. ცხადია, საქართველოს ხელისუფლებას „პუტინისტობაში“ ადანაშაულებენ. დაუკვირდით, რა მიზანი ამოძრავებთ: ცხელი შემოდგომა იქნებაო და აქციებით გვემუქრებიან. ჰოდა, ამ აქციებზე რუსულ რესურსსაც გამოიყენებენ. ნაცებსა და მათ სატელიტებს საქართველოში სხვა რესურსი არ აქვთ. დიახ, გარედან შემოსული, დაშინებული რუსი ტურისტი უნდათ აქციაზე გამოიყვანონ და ცარიელი ადგილები შეავსებინონ. მერე იტყვიან: აი, ჩვენ რამდენი ვართ, ქვეყანაში უმრავლესობას წარმოვადგენთო. ასე რომ, ჯაფარიძე და მისი მსგავსნი ვითომ რუსი ტურისტების წინააღმდეგნი არიან, მეორე მხრივ, შეშინებულ რუს ახალგაზრდებს თავს უყრიან, რათა ისინი ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყენონ. ეს სახელმწიფოებრივად მოღალატე პოლიტიკური ძალაა. ყველას, ვინც მათ მხარს არ უჭერს, პუტინის მონას ეძახიან. ეს მზაკვრული პოლიტიკაა. **საშობლოს წინააღმდეგ წასვლა არის მზაკვრობა.** ამ პროცესს წამხალისებლები რომ არ ჰყავდეს, ვგულისხმობ, ევროპარლამენტარებს, რიგ სენატორებსა და კონგრესმენებს, ამდენს ვერც გაბედავდნენ და ვერც შეძლებდნენ. ამ ბნელმა ძალამ საქართველო დემოკრატიის სახელით გაძარცვა.

ყველაზე ამაზრზენი იცით, რა არის? — ბრიუსელში ევროკავშირ-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის სხდომაზე წითლიძე ურცხვად რომ ამბობს: ხელისუფლებას არა, მაგრამ ხალხს კი ეკუთვნის კანდიდატის სტატუსიო. კი მაგრამ, ეს ხელისუფლება ვისი არჩეულია — შემთხვევით ამ ხალხის ხომ არა?! აი, ამას ვეძახი მათ მზაკვრულ პოლიტიკას. ბრიუსელში და, ზოგადად, ყველგან, ჩვენი — თქვენი, ჩემი სახელით საუბრობენ და არც გვეკითხებიან, ამაზე თანახმა ვართ თუ არა! ხელისუფლება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ არ აირჩია?! **ესენი იმდენს ხვანცალებენ, ალბათ, უნდათ, ის უმრავლესობა, რომლის სახელითაც საუბრობენ, მათ ჟუჩაში გამოუვარდეს და ჭკუა ასწავლოს.**

— ჭყონიამ იცის, ამ საქციელს მე თუ არ მოვუწონებ, სამაგიეროდ, ნაცები მოუწონებენ. შედეგად, მას საფუძველი უჩნდება, მახინჯი იდეოლოგიის მატარებელ ჯგუფებს დაეყრდნოს. ის უნდა დასაჯონ. ჩვენ თუ ვერა, ასეთ გარეწარს ღმერთი მაინც დასჯის. **ჭყონიას უფლება არ აქვს, ელტონ ჯონის გათხოვებით გამოწვეულ ბედნიერებაზე კავკასიელ ბავშვებს მოუთხროს. დიახ, იმ კავკასიელ ბავშვებს, რომლებიც „ხორუმით“ ცეკვისას მიწას აზანზარებენ და ფარიკაობისას ჰაერში ცეცხლის ნაპერწკლებს ჰყრიან. და ეს ვიგინდარა, ამ ისტორიის, ტრადიციებისა და კულტურის ერს ეუბნება: ელტონ ჯონი ბედნიერია, რომ გათხოვდაო?!** დაე, მას ჰქონდეს ასეთი ბედნიერება საკუთარ ოჯახში.

— ზემოთ პრემიერის მიერ გამართულ შეხვედრებზე ისაუბრეთ. სწორედ ამ დროს, აქ ოპოზიცია პროვოკაციას პროვოკაციაზე აწყობს და ვითარებას ძაბავს...

— ამას სპეციალურად აკეთებენ. ფიქრობენ, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი თუ მიანიჭეს, მათი პოლიტიკური წინსვლა მსგავსი არაფერი მინახავს, რასაც ნაცები კადრულობენ. ასეთი პარტია, როგორადაც ნაცები ჩამოყალიბდნენ, საქართველოს არასდროს ჰყოლია. „კომუნისტებმაც“ კი დათმეს მმართველობა, მიხვდნენ, რომ მათი დრო წავიდა და პოლიტიკას გაეცალნენ. ასევე, პოლიტიკას ჩამოშორდა „მრგვალი მაგიდა — დამოუკიდებელი საქართველო“, „მოქალაქეთა კავშირი“, „აღორძინება“... ესენი ვერაფრით მოვიშორეთ, რაც ისტორიული შეუსაბამობაა და „ქართული ოცნების“ დანაშაულიც. ეს ბიძინა ივანიშვილის ჰუმანიზმმა გამოიწვია. მან ნაცებს უთხრა: ჩვენ მოგექცევით ისე, როგორც ქართველი ერი იმსახურებს და არა ისე, როგორც თქვენ იმსახურებთო. არადა, მათ ისე უნდა მოვექცეოდით, როგორც იმსახურებდნენ. „ნაცმოძრაობა“ ქართველი ერის ნაწილი არ არის.

ნებსით თუ უნებლიედ, დამოუკიდებლობას რაღაც კავშირზე ვცვლით. გვეუბნებიან: თქვენი დამოუკიდებლობა ფეხებზე გვკიდია, ევროკავშირში თუ მიგიღებთ, ისე უნდა მოიქცეთ, როგორც ჩვენ დაგარიგებთო. ვფიქრობ, ჩვენი სუვერენიტეტი არცერთ კავშირზე არ უნდა გავცვალოთ. **ევროპას თუ უნდა, რომ ფორმალურ დამოუკიდებლობას შეგვაგუოს, ასე ვერ იქნება. მათ თავიანთ რიგებში არ აწყობთ ღირსეული ქვეყნის გაწევრიანება, არამედ სურთ, მარიონეტებივით გვათამაშონ.** ამიტომაც ეყრდნობიან ისეთ მარგინალურ ძალებს, როგორებიც „ნაცმოძრაობა“ და მისი ძმანი არიან.

— მალე ლგბტ კვირეული ახლოვდება. ამის პროპაგანდა უკვე ბავშვებშიც დაიწყეს...

— დანაშაულად მიმაჩნია ის, რაც ჭყონიამ გააკეთა — ბავშვებს წიგნები დაურიგა, სადაც წერია: როგორი კარგია, რომ ელტონ ჯონი ვიღაც დევიდზე გათხოვდა და ამით ბედნიერია. საქართველოში ლგბტ იდეოლოგია და აგიტაცია კონსტიტუციით უნდა აიკრძალოს. როცა სპიტაკში მიწისძვრა მოხდა, მთელ ქვეყანაში — სომხეთში რესტორნები დაიკეტა, არავინ ქეიფობდა. დააკვირდით, როგორი მიდგომებია. იქ ერი ერთიანია. ჩვენთან კი რა ხდება? — კრახით დასრულდება. პირადად მე პირობას ვდებ: სანამ ცოცხალი ვარ, ნაცები ხელისუფლებაში ვერ მოვლენ. ჩემსავით ასიათასობით ადამიანი ფიქრობს. თუ ნაცებმა ხელისუფლებაში დაბრუნება შეძლეს, გამოდის, ყველას თავზე ლეჩაქი გვხურებია და არც კანდიდატის სტატუსის ღირსი ვყოფილვართ.

ნაცებში ახლა დიდი არეულობაა. ხაბეიშვილი დისკრედიტაციასთან, დესტაბილიზაციასთან ასოცირდება. მას შეუძლია, წითელ ხაზს გადააბიჯოს. მისი დანიშვნის არსიც ესაა. ხაბეიშვილმა განაცხადა: მელია მიშას პარტიიდან გაწევას ცდილობდაო. გამოდის, რომ თვითონ მიშას მონაა. მონები კი საშიშები არიან. მისი განცხადებიდან ნათლად ჩანს: მას მიშას ჩანაცვლება კი არ უნდა, არამედ მისი მონობა და მსახურება აკმაყოფილებს. **ხაბეიშვილი მონაა და მიშას ჩანაცვლებაზე არასდროს იფიქრებს.**

— საკაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება. ამაზე რას ფიქრობთ?

— ჯერ ერთი, იგი პოლიტიკიდან არასდროს წასულა. მიშა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ავადმყოფობის სიმულაციის გზა მისთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, წამგებიანი აღმოჩნდა. მეორეც, მან იცის, რომ მისი მოვალეობის დროებით შემსრულებელი ხაბეიშვილი ის ფიგურა არ არის, რომელიც მის სკამზე პრეტენზიას განაცხადებს. მიშამ პოლიტიკაში დაბრუნების თაობაზე გაკეთებული განცხადებით ხაბეიშვილი გააძლიერა. ეს არის ხაბეიშვილის მორყეული ავტორიტეტის გასაძლიერებლად გაკეთებული განცხადება.

— ბატონო მერაბ, რამდენიმე დღის წინათ ხმაური იყო ბორჯომში, სადაც ზურა გირჩი ჯაფარიძეს ლექცია უნდა წაეკითხა. ოპოზიციის მხარდამჭერმა ტელევიზიებმა ვატო შაქარიშვილი ზონდერ-დაჯგუფებების შექმნასა და ჯაფარიძისთვის მიქსევაში დაადანაშაულეს...

— ვატო შაქარიშვილი რასაც ფიქრობს, ეს მხოლოდ მისი ფიქრები კი არა, არამედ სრულიად ქართველი ერის — ჩემი, თქვენი ფიქრებიცაა. მისი მოთხოვნები, სინამდვილეში, ერის უმრავლესობის მოთხოვნებია. იგი, უბრალოდ, ამ პრობლემებს ღიად აჟღერებს, რადგან ამის შესაძლებლობა მეტად აქვს, ვიდრე რიგით ქართველს. ერთმა კი არა, ათასმა ვატო შაქარიშვილმა უნდა გააჟღეროს ხმამაღლა ის, რასაც მე, ჩემი მეგობრები, ახლობლები, ნათესავები, ქართველი ერი ვფიქრობთ. შაქარიშვილის, შათირიშვილისა და პეტრიაშვილის კი არა, ეს სრულიად ერის მოთხოვნაა. ნაცები ყოველ წამს ახალ-ახალ პროვოკაციებს გეგმავენ, ეს მაიდანის ნაწილია. თუმცა, იქ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა — ხალხმა საკუთარი ნება, ღირსება ვერ დაიცვა და გარე ძალების ჩარევით მიზანს მიაღწიეს. მიზანი აქაც იგივეა — გვეუბნებიან: თუ გინდა, კანდიდატის სტატუსი მოგცეთ, ევროპასა და ამერიკას რუსეთის დაჩოქებაში უნდა დაეხმარო და მეორე ფრონტი გახსნა, სისხლი დაღვაროო. ასე ქართველი ხალხის რუსეთთან დაპირისპირება მოხდება, რაც კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს და ქართველი ერის განადგურებით დასრულდება. ახლა, ბორჯომში თავს დაგვესხნენო, ერთი ამბავი რომ ატეხეს ოპოზიციამ და მისმა ტელევიზიებმა, ეს იცით, რატომ ხდება? — მოლოტოვის კოქტეილის სროლაზე, მანქანების ამოყირავებაზე, პოლიციელების დაწვაზე მარტო ერთი გრიგორიადისი რომ დაიჭირეს, აი, იმიტომ. სხვები რატომ არ მისცეს პასუხისგებაში? მხოლოდ გრიგორიადისმა ჩაიდინა დანაშაული? იმ ქმედებებზე ყველას პასუხი რომ ეგო, გრიგორიადისზე ამხელა ამბავი აღარ ატყდებოდა. ბორჯომის მოვლენებმა ერთი რამ ცხადჰყო: **ხალხი გამწარებულია ოპოზიციაზე და უკან აღარაფერზე დაიხევს.**

თამარ შველიძე
555 23 28 24

მთავარია რას ფიქრობს ქართველი ხალხი

გვესაუბრება პოლიტიკოსი, დიპლომატი, აღმოსავლეთმცოდნე, მეცნიერებათა დოქტორი
გიგლა ბარამიძე:

— სანამ ინტერვიუს ჩაწერას დავიწყებთ, თუ შეიძლება, მინდა, ჩემი გულის ტკივილი გამოვხატო ბატონი ვახტანგის გარდაცვალების გამო. „საერთო გაზეთს“, ოჯახს ვუსამძიმრებ ამ მძიმე დანაკლისს. ვახტანგი ძალიან ღირსეული კაცი იყო. ასე მოკლედ არ მინდა შემოვიფარგლო, დაწერთ ცოტა ვრცლად?

— რა თქმა უნდა, გისმენთ, ბატონო გიგლა.

— ვახტანგი მრავალი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო. პირველ რიგში, იგი თითით საჩვენებელი მამულიშვილი გახლდათ. იშვიათად მინახავს ქვეყანაზე ასე უზომოდ შეყვარებული კაცი. გარდა ამისა, კარგი კოლეგა, მეგობარი, ბრწყინვალე მწერალი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი დავკარგეთ. იგი იმდენად კარგი ადამიანი იყო, რომ მოშურნე და მტერიც ბევრი ჰყავდა, განსაკუთრებით ნაცები. მის პროფესიაშიც ბევრს შურდა ვახტანგისი. ქართველებს ეს გვჩვევია, სამწუხაროდ. მის ჯანმრთელობაზე, ალბათ, ამანაც იქონია ზეგავლენა. მასთან ურთიერთობებს ყოველთვის დიდი სიყვარულით ვიხსენებ. ჯერ კიდევ 30-40 წლის წინათ ჩემგან ინტერვიუებს რომ იღებდა, მაშინაც იგრძნობდა მისი პრინციპულობა და ობიექტურობა. ჩვენი აზრები საქართველოს სიყვარულში და, ზოგადად, ყველაფერში, ურთიერთთანხვედრაში იყო. ზეციურ საქართველოში მისი გადანაცვლება ძალიან დიდი დანაკლისია ქართული საზოგადოებისთვის, შემოქმედი, ნამდვილი, მებრძოლი ინტელიგენციისთვის და არა იმათთვის, ვინც ინტელიგენციის სახელს მოჩვენებითად ირქმევს. ვახტანგი ძალიან დააკლდა ქართულ სიტყვას, ქართულ მედიას და, რაც მთავარია, ქართულ საქმეს. იმედია და მჯერა, რომ თქვენ და თქვენი კოლეგები მის ბალავარჩაყრილ საქმეს პირნათლად გააგრძელებთ. მიზეზთა გამო, პრესას ინტერვიუებს საერთოდ არ ვაძლევ, მაგრამ „საერთო გაზეთთან“ აუცილებლად ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ, სადაც უნდა ვიყო. მადლობა, რომ ჩემი წუხილის გამოთქმის საშუალება მომეცით.

— დიდი მადლობა, სამძიმრისთვის და „საერთო გაზეთის“ მიმართ გამოხატული ნდობისთვის. ბატონმა ვახტანგმა მართლაც დიდი ტკივილი დაგვიტოვა...

— თვის ბოლოს ვილნიუსის სამიტზე ვერდიქტი უნდა გამოგვიტანონ — ვიმსახურებთ თუ არა კანდიდატის სტატუსს. რა მოლოდინები გაქვთ, ქვეყნის შიგნით და გარეთ მართულ პროცესებს როგორ შეაფასებთ?

— ზოგადად, საქართველოს ხელისუფლების წარმატებები, უპირველესად, მისმა უდიდებულესობა ქართველმა ერმა უნდა შეაფასოს. ბოლო 30 წელია, ყველაფერი თავდაყირა დგას — უცხოელებს შევციცინებთ: აბა, რას იტყვით ჩვენზეო, ხოლო ქართველი კაცის აზრი, მეათეხარისხოვნად მიგვაჩნია. ამიტომაც, მეორეხარისხოვანი ევროპელი ჩინოვნიკი ზემოდან გვიყურებს და იმასაც კი გვასწავლის, ჰაერი როგორ ჩავისუნთქოთ. ეს ხალხი დიპლომატიის, კოლეგიალურობისა და ეთიკის ჩარჩოებს დიდი ხანია, გასცდნენ.

ბოლო დროს ამ მიმართულებით ხელისუფლების რიტორიკა მკვეთრად შეიცვალა. ხელისუფლება ღიად აცხადებს, რომ მთავარია, რას ფიქრობს ქართველი ხალხი, მაგრამ ამას საქმეც უნდა მოჰყვეს. საზოგადოებამაც უნდა გავითავისოთ, რომ, პირველ რიგში, საქართველოს მოქალაქის აზრია საინტერესო და მერე ევროჩინოვნიკის, მიუხედავად იმისა, რომელი მნიშვნელოვანი ქვეყნის წარმომადგენელიც უნდა იყოს. დილიდან საღამომდე, მამაო ჩვენოსავით ჩაგვესმის, რომ 12-პუნქტიანი დავალება უნდა შესრულდეს. საქმე ისაა, რომ ვიღაცებს სჭირდებათ, ამ 12 პუნქტით ყურში ხელი ჩაგვავლონ და ისეთი რამ შემოგვთავაზონ, რაც საქართველოს ევროპისკენ სწრაფვაში სრულებით არ სჭირდება. მთავარი ისაა, ჩვენდამი კეთილმოსურნეობის ქურქში გახვეულნი ამ 12 პუნქტის უკან რას გულისხმობენ, თორემ ეს დავალება, პრაქტიკულად, შესრულებულია. ზოგიერთი ევროპელი, აქაურ მეხუთე კოლონასთან ერთად გვიმტკიცებს, რომ თურმე ევროკავშირში მიღების საპირწონე სალახანა სააკაშვილის ციხიდან გამოშვება ყოფილა, რომელმაც ახლა პოლიტიკაში მობრუნებაც მოინდომა!!! სინამდვილეში, 12 პუნქტის მიღმა სულ სხვა რამ იმალება, ანუ ის, რაც ქართველებს მხოლოდ და მხოლოდ აზიანებს. დღეს დემოკრატიაზე, ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე სისხლიანი რეჟიმის ავტორები გველაპარაკებიან.

ნაცებთან ერთად, ამ ყველაფერზე გვესაუბრებიან ის ევროჩინოვნიკები, რომელთაც სააკაშვილის ბინძურ საქმეებში ცხვირი ჰქონდათ ჩარგული და მისი რეჟიმი აწყობდათ. მოდი, პირდაპირ ვთქვათ: ნაცბანდის მონათესავე „ევროპის სახალხო პარტიას“ არ უნდა, კანდიდატის სტატუსი რომ მოგვცენ, რადგან მას ხელისუფლებაში ნაცების დაბრუნება სურს. ოკეანის გაღმა არის რამდენიმე სენატორი, რომლებიც ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებს (ისინი ჩვენს არჩევნებს უნდა დააკვირდნენ) წინასწარ უკვეთავენ, განაცხადონ, რომ ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას აპირებს. მათ უნდათ, გამარჯვება ნაცებს დარჩეთ და დესტაბილიზაციის შესაქმნელად მზა რეცეპტებსაც იძლევიან. ქვეყანაში დაძაბულობა არჩევნებამდე გაგრძელდება. სტატუსის მოცემა-არმოცემა საბაბი არ უნდა გახდეს იმისა, რომ შიდა თუ გარე მტრებმა იხუვლონ: აი, საქართველო ჩრდილოეთისკენ მიდის და ხელისუფლება უნდა გადავატრიალოთო.

რევოლუციის მზადების პროცესი დაწყებულია. მე ხელისუფლების გუნდის წევრი არ ვარ, არც „ქართულ ოცნებაში“ ვყოფილვარ ოდესმე, მაგრამ, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკოსი, რეალობას ხომ ვხედავ. ბევრ საკითხში საზოგადოებისა და დღევანდელი ხელისუფლების აზრი ემთხვევა.

— როგორც დიპლომატს, მინდა გკითხოთ: რამდენად მნიშვნელოვანია ის მაღალი დონის შეხვედრები, რასაც პრემიერი სხვადასხვა ქვეყნებში მართავს. იგი ახლახან ბრიუსელში იმყოფებოდა, სადაც შარლ მიშელსა და ვარჰეის შეხვდა...

— ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთი მაღალი დონის შეხვედრები ამ სიხშირითა და ინტენსივობით არცერთ ხელისუფლებას არასდროს ჰქონია. სააკაშვილი „სველ წერტილებთან“ უსაფრდებოდა სენატორებს, ან ევროპარლამენტარებს, მერე ფოტოებს იღებდა მათთან და ამას მისი ტელევიზიები მაღალი დონის შეხვედრებად ასაღებდნენ. ღარიბაშვილი ბოლო პერიოდში, თითქმის ყოველ კვირაში, ევროპის სხვადასხვა ქვეყნის პირველ პირებთან შეხვედრებს მართავს, საერთაშორისო ტრიბუნებიდან წარმოთქვამს სიტყვებს, რაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ხედვების აბსოლუტური გამოძახილია. ეს შეხვედრები ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია. ყველა გამოსვლა ნანახი და გაანალიზებული მაქვს. აქაური ოპოზიციური ტელევიზიებით რაც ჟღერდება, რეალობისგან განსხვავებულია. ევროპაში ამ გამოსვლების სინქრონული ჩანაწერეები სხვადასხვა პერიოდულ პრესაში იბეჭდება და მინდა გითხრათ, რომ საქართველოს მიმართ, რაიმე კონკრეტული, მკვეთრი შენიშვნები არსად გაჟღერებულა. ქვეყნისთვის საგანგაშო არავის არაფერი უთქვამს. ამას ეს ტელევიზიები არ გადმოსცემენ, სამაგიეროდ, აშუქებენ „ევროპის სახალხო პარტიის“, ცალკეული დეპუტატების: კალიურანდის, იუკნევიჩიანეს, ფოტიგას, კუბილიუსის ანუ, მათი ამქრების ცალკეულ გამონათქვამებს, რომელთა აზრს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. მათი გამონათქვამებით სურთ, პრემიერის მიერ იმ მაღალი დონის თანამდებობის პირებთან გამართული შეხვედრები გადაფარონ, რომლებიც კუბილიუსებისგან განსხვავებით, საკითხებს რეალურად წყვეტენ.

პრემიერის მიერ გამართული შეხვედრები ძალიან კარგია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ შიდა თუ გარე მტერი ჩასაფრებულია და მათგან ყველაფერს უნდა ველოდოთ. საზოგადოება მობილიზებული უნდა იყოს. აღნიშნული დონის შეხვედრებიც უნდა გაგრძელდეს. არ მახსენდება, მთელ რიგ საკითხებში საზოგადოება ისე უჭერდეს მხარს ხელისუფლებას, როგორც ახლა ხდება. ხელისუფლებამ საზოგადოების მხარდაჭერა უნდა შეინარჩუნოს. ხალხს უდიდესი ძალა აქვს.

მადლობა ღმერთს, ხელისუფლების ძლიერ პოზიციას საზოგადოების დიდი მხარდაჭერაც გვერდს უმაგრებს. ამიტომ, შანსი გვაქვს, საქართველო ევროპაში ყოველგვარი არეულობის გარეშე შევიდეს.

— ბატონო გიგლა, კვირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, ვენეციის კომისიის დასკვნა გახდა, რაც ევროკომისიის დასკვნას რადიკალურად ეწინააღმდეგება...

— კი ბატონო, ევროკავშირი ერთს ამბობს, ვენეციის კომისია — მეორეს. სჯობს, ჯერ ერთმანეთში ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ. ყველაფერზე თვალს რომ აღარ ვხუჭავთ, ზოგიერთი მაღალი თუ დაბალი რანგის ევროჩინოვნიკი წყობიდან გამოვიდა. რატომ გვთხოვენ დეოლიგარქიზაციის კანონის მიღებას? იმიტომ, რომ ეს პირადად ბიძინა ივანიშვილს ეხება. რა უნდათ — გაქრეს ეს ადამიანი, თუ რა გააკეთოს?! იგი პოლიტიკაში აღარ არის, მეცენატობას ეწევა, მაგრამ მაინც მისი გვრემა აქვთ. ბატონი ბიძინა სიკეთის კეთებას ქველმოქმედებით განაგრძობს. საქმე ისაა, რომ გუნდი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა თავისი ზურგით გააძლიერა, დასავლეთისთვის მისაღები არ არის. იციან, რომ ამ ადამიანის ავტორიტეტი ისევ მოქმედებს და უნდათ, მის გუნდს როგორმე წყალი შეუყენონ. ამიტომ აიჩემეს დეოლიგარქიზაციის კანონი. ვთქვათ, მივიღეთ ეს კანონი. ის ივანიშვილს ვერანაირად ვერ შეეხება, სამაგიეროდ, შეეხება კეზერაშვილს, რადგან მოქმედი პოლიტიკოსია და ქართველებს მილიონები მოპარა. დეოლიგარქიზაციის კანონი, ასევე, შეეხება სააკაშვილს და მის ოჯახს. კერძოდ, დედამისსაც, რომელიც მესამე ხარისხის მეცნიერმუშაკი იყო, 500-ლარიან ხელფასს იღებდა და უცებ 140-მილიონიანი ქონების მფლობელი გახდა. ლობისტებიც კი დაიქირავა დამნაშავე შვილის გამოსახსნელად და მათ მილიონი დოლარი გადაუხადა. სხვა რას ჰქვია ოლიგარქი?! იგივე ეხება ადეიშვილს, რომელმაც ოფშორებში მილიარდები გაიტანა. ეს ფაქტებით არის დამტკიცებული.

— თუ სტატუსის მონიჭებაზე უარი გვითხრეს, ოპოზიცია ამას არეულობის მოსაწყობად გამოიყენებს. შედეგი რა იქნება?

— ოპოზიციას მხარდამჭერები კი არა, რევანშისტული დაჯგუფებები ჰყავს. თუ სტატუსი ვერ მივიღეთ, შეეცდებიან კვლავ ახალგაზრდებზე იმუშაონ. მაგრამ ხალხის უმრავლესობა ვხვდებით, რაც ხდება. ამიტომ, თუ ხელისუფლებამ სისუსტე გამოიჩინა, საზოგადოება სახლში არ უნდა დაჯდეს, ყველანი — თქვენ, მე ქუჩაში უნდა გამოვიდეთ და ჩვენი სათქმელი ვთქვათ. ყველა ჩვენგანის ვალია, ასეულ ათასობით ადამიანი გამოვიდეთ და ჩვენი პოზიცია დავაფიქსიროთ. ვინ მეტი იქნება, ესეც უნდა დავანახვოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებაში მეტამორფოზის სახით კვლავ ისინი მობრუნდებიან, ვინც ცხრა წელი ქვეყანაში სისხლის გუბეები დაყენა. ნუ ვიქნებით მხოლოდ ხელისუფლების იმედად. სწორი არ იქნება, დილიდან საღამომდე ტახტზე წამოვიტრაკოთ, ყავა ვწრუპოთ და „ფეისბუქზე“ ვიქირქილოთ. ასე არაფერი გამოვა. ჩვენ უფრო ადრე გვქონდა ომი, ტერიტორიებიც დავკარგეთ, რუსული ბაზებიც დგას აქ, მაგრამ ეს ევროპამ არაფრად ჩაგვითვალა! სად იყო უკრაინელი ჯარისკაცი, როცა ჩვენი ბიჭები ავღანეთში, ცენტრალურ აფრიკაში იბრძოდნენ (ნატოს არაწევრი ქვეყნებიდან ყველაზე მეტი ქართველი ჯარისკაცი მონაწილეობდა მისიაში). მარტო მათი დაღვრილი სისხლის გამო გვეკუთვნის დიდი ხანია, კანდიდატის სტატუსი. ვიმეორებ, „ფეისბუქზე“ კი არ უნდა ვიკაკანოთ, გარეთ გამოვიდეთ და დავამტკიცოთ, რომ, გარე თუ შიდა ძალებს, რომელთაც საქართველოში არეულობის მოწყობა სურთ, აქ დასაყრდენი არ აქვთ. თუ ამას არ გავაკეთებთ, მაშინ ყველაფრის ღირსები ვყოფილვართ.

თამარ შველიძე
555 23 28 24



„გორდიას კვანძი“, თუ „სიმულაციური მარათონი?“

განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებზე გვესაუბრება 123-ე საჯარო სკოლის ისტორიის უფროსი მასწავლებელი ლელა თვალაბეიშვილი:

გაინტერესებთ, რა არის სქემა და რატომ არის ამ სიტყვასთან დაკავშირებით ამდენი აზრთა სხვადასხვაობა? ეს არის „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემა.“ ამ დარგის პროფესიონალებში საუკეთესოების გამოსავლენად სახელმწიფომ გამოცდების ჩატარება და სერთიფიკატების გაცემა დაიწყო.

ერთი წლის წინათ რომ გეთხოვათ ჩემთვის, ამ საკითხზე მესაუბრა, სიმართლე გითხრათ, ვერაფერს გეტყოდით, რადგან ასე დაწვრილებით მეც არაფერი ვიცოდი. ახლახან წავიკითხე განთლების ექსპერტის, განათლების მეცნიერებათა დოქტორის ქალბატონ ელზა ბადაშვილის სტატია: „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის“ არათანმიმდევრული განვითარებისა და მასწავლებელთა მიმართ არათანაბარი დამოკიდებულებებისა და მოთხოვნების შესახებ“, რომელიც პერიოდულ საერთაშორისო ჟურნალ “ინტელექტში“ 2021 წლის აპრილში დაიბეჭდა. თქვენთან საუბარში, ძირითადად, ამ წყაროს დავეყრდნობი.

ქალბატონი ელზა სტატიაში წერს: „მოკლედ მოგახსენებთ დღევანდელ ქართული განათლების სისტემის საკმაოდ გაუმართავ, წინააღმდეგობრივ, არასამართლიან და სრულიად შეუსაბამო დადგენილება – გადაწყვეტილებების, დებულებებისა და დირექტივების შესახებ, რომლებიც არანაირად არ შეესაბამება თანამედროვე დასავლური პროგრესული და ცივილიზებული ქვეყნების განათლების სისტემის მაღალ სტანდარტებს. ის, რაც დღეს ამ სფეროში ხდება, ახლისა და ინოვაციურის ძიებაში დაკარგულ და გზა – კვალაბნეულ, უსისტემო და, ხშირ შემთხვევაში, შეუწყნარებელი შეცდომებით დამძიმებული ქმედებების მთელ წყებას შეიცავს, რომელსაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.“

პედაგოგიური პროფესია საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებად უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში შედის. 2004 წლიდან რეგულირებად პროფესიებში სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების წესი შემოიღეს.

2009 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება (მასწავლებლობის უფლების მოპოვება/განახლება, სტატუსის მოპოვება და მისი ჩამორთმევა). სტატუსები საფეხუროვანი იყოდა მინიჭებული ჰქონდა კრედიტები.

2011 წლიდან კრედიტების კანონი დამტკიცდა. 1. სერტიფიცირებული მასწავლებელი – 21 კრედიტი; 2. პირველი კატეგორიის მასწავლებელი – 32 კრედიტი; 3. უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი – 42 კრედიტი. სერთიფიკატის მოქმედების ვადა იყო 8 წელი. შემდეგ პედაგოგს კრედიტები უნდა დაეგროვებინა და სერტიფიკატი განეახლებინა, თორემ სამსახურს კარგავდა. არასაკმარისი კრედიტების შემთხვევაში მასწავლებელი ერთი საფეხურით ჩამოქვეითდებოდა, 21 კრედიტზე ნაკლებს თუ მოიპოვებდა, გამოცდაზე განმეორებით გასვლა უწევდა, ე. ი. სერთიფიკატი ვადიანი იყო.

უნივერსიტეტებში აღებული დიპლომები უარყვეს, გაგვინულეს და, ამასთან ერთად, არც სერთიტიფიკატი იყო უვადო. ვიყავით მუდმივ დაძაბულობაში, ფიქრსა და სტრესში, რომ სტატუსი არ დაგვეკარგა.

სკოლაში 1999 წლიდან ვმუშაობ. მეც, როგორც ყველა პედაგოგი, რეფორმის მონაწილე აღმოვჩნდი. სტატუსის მისანიჭებლად პირველად პროფესიული უნარების და საგნის გამოცდადაინიშნა. არავინ იცოდა, რა ტიპის დავალებები იქნებოდა, რადგან ეს იყო პირველი გამოცდილება. მაშინაც იყვნენ უკმაყოფილო მასაწვლებლები, იყო გაპროტესტება და ქულების მომატება. ყველაზე მტკივნეული ის იყო, რომ გამოცდების შედეგების სტატისტიკური მონაცემები ტელევიზიით ცხადდებოდა და ასახელებდნენ თუ რამდენი მასწავლებელი „ჩაიჭრა“.

ისტორიის გამოცდა ორი წლის განმავლობაში არ ყოფილა. მე ერთად მომიწია პროფესიულ უნარებისა და ისტორიის ტესტების დაწერა. ორივე დადებითად ჩავაბარე და მივიღე მასწავლებლის სეტიფიკატი, სადაც ეწერა რომ, საერტიფიკაციოი გამოცდის საფუძველზე მასწავლებლობის უფლება მომანიჭეს.

2015 წელს გაუქმდა ძველი და შემოვიდა მასწავლებლის ახალი სტატუსები. პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა ყველა არასერტიფიცირებულ მასწავლებელს, დოქტორებსაც კი. უფროსი მასწავლებლის სტატუსი მიენიჭა ყველა მოქმედ პედაგოგს, რომლებსაც 2014 წლის ბოლომდე ჰქონდათ მოპოვებული სერტიფიკატი. წამყვანი პედაგოგის სტატუსი მიენიჭათ მოქმედ სერტიფიცირებულ პედაგოგებს, რომლებიც საგანს ასწავლიდნენ სპეციალობის მიხედვით და შესაბამის საგანში დოქტორის ხარისხს მიიღებდა. მენტორი იყო უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი. აქაც წინსვლისა და შენარჩუნებისთვის კრედიტების დაგროვება იყო საჭირო. პროფესიულ უნარების გამოცდა მოიხსნა და პრაქტიკოსი მასწავლებელი მხოლოდ იმ საგნის გამოცდასაბარებდა, რომელსაც ასწავლდა, მაგრამ გადიოდა პროფესიული განვითარების კურსს პედაგოგიურ უნარებში. ვადად განისაზღვრა 3 წელი. თუ მოცემულ ვადაში პედაგოგი ვერ შეძლებდა კურსების გავლას, სკოლა მასთან ხელშეკრულებას წყვეტდა. სტატუსის შესანარჩუნებლად უფროს მასწავლებლებს განესაზღვრათ 13 კრედიტი. წამყვან მასწავლებებლებს კი – 19. არ არსებობდა საგნებში სპეციალური აკრედიტებული პროგრამები, ამიტომ მასწავლებლები კრედიტქულებს ვერ აგროვებდნენ.

ისევ მუდმივ დაძაბულობაში, სტრესსა და ფიქრში ვიყავით, რომ სტატუსი არ დაგვეკარგა.

რადგან უფროსი მასწავლებელი უკვე ვიყავი, გადავწყვიტე, სტატუსი დოქტორის უმაღლესი ხარისხის მინიჭებით ამემაღლებინა. ჩავაბარე ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის განხრით (2019 წელს სწავლა შევწყვიტე ავდმყოფობის გამო და ჯერ კიდევ არ დამისრულებია).

2017 წლის მთავრობის დადგენილებით ისევ სავალდებულო გახდა საგანთან ერთად პროფესიული კომპეტენციის დადასტურება და, რაც მთავარია, შეიცვალა საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების კრედიტქულების დაგროვების პრინციპი. თუ აქამდე საჭირო იყო, მასწავლებელს 10 კრედიტქულის მოსაპოვებლად ჩაებარებინა გამოცდა სრულად, ახლა გამოცდის ნაწილობრივ ჩაბარება შემოვიდა, შესაძლებელი გახდა 1-4-7 კრედიტქულის დაგროვება, ხოლო დანარჩენი კრედიტების შევსება დამატებითი აქტივობებით (ტრენინგები, შესაბამის წრეებში და კლუბებში გაწეული მუშაობა, შექმნილი რესურსები, ჩატარებული პროექტები, სამოდელო გაკვეთილები, კონფერენციებზე დასწრებები, გარე დაკვირვებები, კვლევები და სხვ.).

არც ერთ პროფესიას არ აქვს იმდენი მოთხოვნა წაყენებული, რამდენიც ჩვენ. რეგულირებად პროფესიებში საჭირო სერტიფიკატის მოსაპოვებლად ყველა ერთ გამოცდას აბარებს, ჩვენ კი გამოცდის გარდა იმდენ რამეს ვაკეთებთ, რასაც დროის უდიდესი და დიდი ადამიანური ფიზიკური და ემოციური რესურსი ხმარდება. სასწავლო პროცესის ღერძი მოსწავლეა, სწორედ მასზე უნდა გავაკეთოთ ძირითადი აქცენტი. ჩვენს მთელ ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას მოსწავლის მოტივაციის ამაღლებისათვის უნდა ვხარჯავდეთ და არა საკუთარი თავის „აღზრდასა“ და „განათლებაზე“ – ვავსებდით თვითშეფასების კითხვარს და ვესწრებოდით და ვესწრებით დღემდე გაუთავებელ ტრენინგებს. ვემზადებით გამოცდებისთვის. რომ კარგი შედეგები დავდოთ ტესტირებებზე.

ფინანსური მხრიდანთუ შევხედავთ, რა იყო სქემამდე და რა არის სქემის შექმნის მიზანი? ამის გაგებაში დამეხმარა ბატონი სიკო ჯანაშია. მისი თქმით, ეს პირდაპირ მიბმულია ჩვენს ხელფასთან. მანამდე მასწავლებლების ხელფასი თითქმის ერთნაირი იყო, განსხვავება მხოლოდ 5 და 10 წლის სტაჟის შემთხვევაში რამდენიმე ლარი იყო, თუ დოქტორის ხარისხი ჰქონდა – 46 ლარი. ხელფასი ემატებოდა ყველას ერთნაირად და არავინ არ ვიყავით ამით კმაყოფილი. ეს მატება იმდენად მცირე იყო, რომ სულ პრეტენზიები გქონდა სამინისტროსთან. სქემის შემოღებით დაგვიწესეს ბარიერები, რომელთა დაძლევით ახალ საფეხურზე გადავდიოდით და სამინისტროს ვეღარ დავადანაშაულებთ. რადგან ხელფასი გვემატება წაყენებული პირობის დაკმაყოფილებაში დანამატის სახით და პასუხისმგებლობა გადმოვიდა ჩვენზე, თუ ვერ დავაკმაყოფილე მოთხოვნები, ესე იგი ჩემი ბრალია. მინდა მეტი ხელფასი? უნდა მოვინდომო, ტყავიდან ამოვძვრე და გადავლახო წინაღობა, რადაც უნდა დამიჯდეს. აქამდე პროტესტი არ ყოფილა, იცით, რატომ? ვინც ეს სისტემა მოიფიქრა, მან ძალიან კარგად იცის მასწავლებლების მიზანდასახულობის შესახებ. ჩვენ გაგვიჩინეს სურვილი დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ უმაღლეს სტატუსამდე, რომელსაც მოჰყვება ნანატრი უმაღლესი ხელფასი. ისიც კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ ამ „სიმულაციურ მარათონულ რბოლაში“ მასწავლებლები არ ჩაებმებოდნენ, რომ არა ფინანსური ინტერესი... რადგან სტატუსის ცვლილებასთან ერთად იზრდება დანამატი და არა ხელფასი. წლებია, ხელფასი და დანამატი ცალ-ცალკე გვერიცხება, დანამატი კი ხელფასზე მაღალია.

2019 წლის დამტკიცდა ახალი სქემა, რომლის მიხედვითაც, პრაქტიკოსი მასწავლებელი ვალდებული გახდა, დაედასტურებინა საგნობრივი კომპეტენცია იმ საგანსა და საგნობრივ ჯგუფში, რომელსაც ასწავლიდა. ვინც ჩააბარა ქართული, როგორც მეორე ენა არაქართულენოვანი სკოლების/სექტორებისათვის და უფროსი მასწავლებელი გახდა, უფლება მიეცა ასწავლოს ქართული ენა და ლიტერატურა ქართულ სკოლებშიც. ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის უფროს მასწავლებლებს უფლება მიეცათ, ასწავლონ ერთმანეთის საგნები, გეოგრაფიის, ისტორიის სამოქალაქო განათლების, მე და საზოგადოების მასაწავლებლებს კი ერთმანეთის და ა.შ.

და ამის მერე ვითხოვთ ხარისხიან გაკვეთილებს?

გაგრძელება იქნება

პროვოკატორო ყორშია, შორს შენი ბინძური ხელები რეინ მეტრეველისგან

ძვირფასო მკითხველო, ვიდრე ძირითად საკითხზე გადავალ, მინდა, ტერმინი „აშვება“ განვმარტო. როცა დიდი ხნით დაბმულ საქონელს ერთბაშად აუშვებენ და თავისუფლებას იგრძნობს, გავეშებული კისრისტეხით უაზროდ დარბის აღმა-დაღმა და მის შეჩერებას საშველი არ ადგება. აი, ასეთ მდგომარეობაშია დღეს მთელი ოპოზიცია და უცხო ქვეყნებიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი. სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების საფარქვეშ, ღიად ეწევინ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. მიტინგებიდან და თავშეყრის ადგილებიდან მოსახლეობას პირდაპირ მოუწოდებენ რევოლუციისკენ და ძალადობრივი გზით ხელისუფლების შეცვლისკენ, განმკითხავი კი არავინ ჰყავთ. ის პროვოკაცია, რაც ახლა ბატონ როინ მეტრეველს მოუწყვეს, ამ ნარატივში ზუსტად ჯდება, მაგრამ ნაძირლობის არცერთ ჩარჩოში არ თავსდება. რა დონის ნაძირალა, კაცუნა და თაღლითი უნდა იყო, რომ ისეთი რამ გააკეთო, რაც ე.წ. ჟურნალისტმა ბექა ყორშიამ მოიფიქრა. სამწუხაროდ, დღეს ასეთი უტიფარი, უვიცი და უწიგნური ჟურნალისტების დროა. კაცი, რომელიც ჯერ კიდევ საუკაშვილის დროშია ჩარჩენილი და ახლაც ჰგონია, რომ აკადემიის პრეზიდენტი და აკადემიკოსები ინიშნებიან, ბატონ როინს საბჭოთა დროში ჩარჩენილს უწოდებს. ასეთ კაცს რა უნდა ელაპარაკო. ჯერ ერთი, ბატონ როინს არ უთქვამს ბატონ ღარიბაშვილს აკადემიკოსად ავირჩევთო. მსოფლიოს მასშტაბით მიღებულია და არსებობს უნივერსიტეტებში საპატიო დოქტორის, ხოლო მეცნიერებათა აკადემიაში, აკადემიის საპატიო წევრის წოდება. ვნახოთ და მოვიფიქროთო, აქ, რა თქმა უნდა, მხოლოდ აკადემიის საპატიო წევრობაზეა ლაპარაკი. რასაც აკადემიის პრეზიდენტი ერთპიროვნულად კი არ წყვეტს, არამედ საკითხს პრეზიდიუმი იხილავს და თუ საჭიროდ მიიჩნევს, რეკომენდაციით შედის საერთო კრების წინაშე. საბოლოოდ, საერთო კრება ხმის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას და ასე ირჩევს წარდგენილ კანდიდატს. მეორეც, უწიგნურო და პროვოკატორო ყორშია, ახლა მაინც დაიმახსოვრე, აკადემიკოსობა სამეცნიერო ხარისხი კი არა, სამეცნიერო წოდებაა. მეგონა, მარტო შენ იყავი მაგ ტელევიზიაში უწიგნური, მაგრამ ინტერვიუსთვის აკადემიაში მისული შენი კოლეგა ქალბატონი, რომელიც მეორე დღეს ტელევიზიით აჩვენეს, შენზე უარესი აღმოჩნდა. შე მამაცხონებულო, უვიცო კორესპონდენტო, როცა მეცნიერებათა აკადემიაში ინტერვიუს ასაღებად მიდიხარ, ელემენტარულად ხომ მაინც უნდა მოემზადო და ისეთი სულელური შეკითხვები არ დასვა, რომ თავი სასაცილო მდგომარეობაში ჩაიგდო. თუ შენი კოლეგა ყორშიასავით ამ სფეროს ელემენტარულ საკითხებშიც ვერ ერკვევი, თავს რატომ ირცხვენ. წადი და შენი დონის გადაცემები გააკეთე მეცხოველეობის ფერმიდან ან სიმინდის ყანიდან. ვაი, თქვენს პატრონს, უბადრუკო კორესპონდენტებო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ განდიდების მანიით შეპყრობილი უნიჭო და ცხოვრებაში ხელმოცარული ადამიანები, თავის წარმოსაჩენად, „ცნობად სახედ გასახდომად და საზოგადოების ყურადღების მისაქცევად“ შეარჩევენ პოპულარულ და ცნობილ ავტორიტეტულ პიროვნებას და მისი უსაფუძვლო კრიტიკით, ცილისწამებითა და მისთვის ტალახის სროლით „ცნობილი სახეები“ ხდებიან. ამის უამრავი მაგალითია ისტორიაში, რომელთა ჩამოთვლით თავს აღარ შეგაწყენთ. ეს პატარა კაცუნები კრიტიკის ობიექტთან კამათს ვერ ბედავენ, რადგან იციან, რომ მათთან შედარებით არაფერს წარმოადგენენ. ამიტომ ირჩევენ ყველაზე ლაჩრულ და მზაკვრულ, ბინძურ მეთოდს - თაღლითური გზით ჩასაფრებას. ამ მეთოდით ცდილობენ, პოპულარულ პიროვნებას ცილი დასწამონ და ტალახის სროლით გასვარონ. ეს საკმაოდ აპრობირებული მეთოდია დასავლეთში, რომელიც, როგორც ჩანს, კარგად შეასწავლეს ამ არარაობა ყორშიას და რაღაც გასამრჯელოს ფასად მისი შესრულება დაავალეს.

ბატონო როინ, გენიოსი ვაჟა ტყუილად კი არ ამბობდა, „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო“. ასეთი კაცუნები თქვენ ვერაფერს დაგაკლებენ, თქვენი შეურაცხყოფა ის იქნებოდა, ამ არარაობას თქვენზე საქებარი სიტყვა რომ ეთქვა. სდექ მტკიცედ და შეურყევლად, წინ უამრავი საქმე გელოდებათ. ქვეყნის მასშტაბით თქვენი დიდი ავტორიტეტი, როგორც სამეცნიერო წრეებში, ასევე საზოგადოებაში, იმითაც დასტურდება, რომ უალტერნატივო კანდიდატურა იყავით. დიდი მადლობა ბატონ გიორგი კვესიტაძეს, რომელმაც ეს მძიმე ტვირთი მთელი ათი წლის განმავლობაში ღირსეულად ატარა და თქვენი სახით ღირსეულთაგან ღირსეული მემკვიდრე შეარჩია. მადლობა აკადემიის პრეზიდიუმს, რომ თქვენს კანდიდატურას მხარი ერთხმად დაუჭირა და რეკომენდაცია მოგცათ, აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობაზე ასარჩევად კენჭი გეყარათ. საამაყოა, რომ თქვენს კანდიდატურას და მხარი დაუჭირეს უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა, მათ შორის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიისა და მსოფლიო საისტორიო საზოგადოების პრეზიდენტებმა.

უწიგნურო ყორშია, ახლა მაინც დარწმუნდი და დაიმახსოვრე, ვინ არის როინ მეტრეველი. ნურავინ მიწყენს, მაგრამ დღევანდელ საქართველოში ამ დონის მეცნიერი და ისტორიკოსი-მკვლევარი, მე მგონი, საქართველოს არ ჰყავს. მისი ფუნდამენტური ნაშრომებიდან რომელი ერთი ჩამოვთვლო, „ქართლის ცხოვრება“, „კავკასიის ისტორია“, „დიპლომატიის ისტორია“ თუ „ექვთიმე თაყაიშვილის თხუთმეტტომეული“. რომელთა უმეტესი ნაწილი თარგმნილია ბევრ ქვეყანაში. აღარაფერს ვამბობ უამრავ მონოგრაფიასა და ისტორიულ კვლევებზე, რომელთა ჩამოთვლის საშუალებას საგაზეთო ფორმატი არ იძლევა. პროვოკატორო ყორშია, დიდი მკითხველი რომ არ ჩანხარ, ამას შენი განათლებაც ადასტურებს, ამიტომ ტყუილად არ გავირჯები და ამ ტომების წაკითხვას არ დაგავალებ.

ბატონო როინ, ყოველგვარი პირფერობის გარეშე უნდა განვაცხადო, რაშიც კრების ყველა მონაწილე დამეთანხმება, რომ რეკომენდატორების წინაშე ვალში არც თქვენ დარჩენილხართ და შესანიშნავი საპროგრამო სიტყვა წარმოთქვით. რასაც ახლა განხორციელება სჭირდება. იმედია, ქვეყნის ხელისუფლება მხარს დაგიჭერთ და იმ რეფორმებს გაატარებთ, რომლებიც უცილობლად სჭირდება ჩვენს ქვეყანასა და ხალხს. თქვენი დიდი ავტორიტეტი და კომპეტენტურობა საერთო კრებამაც დაადასტურა, თითქმის ერთხმად დაგიჭირათ მხარი და პრეზიდენტად აგირჩიათ. 72-დან მხოლოდ 5-მა მონაწილემ არ მოგცათ ხმა.

ბატონო როინ, ვერაფრით დავიჯერებ, თქვენი დიდი ავტორიტეტის შემხედვარე, აკადემიაში ხუთზე მეტი მტერი არ გყავთ. თქვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მტრებიც კი ღირსეული გყოლიათ, რადგან ამ ხუთი კაცუნას გარდა, დანარჩენი მტრები ღირსეულად მოიქცნენ და, როგორც ღირსეულ კანდიდატს, არჩევნებში მხარი დაგიჭირეს. უკვე დროა, საკაშვილ-ლომაიას მიერ გატარებული მახინჯი რეფორმები ისტორიას ჩაბარდეს და მეცნიერებათა აკადემიამ ის ძველი დიდება დაიბრუნოს, როცა ქვეყნის საჭირბოროტო-საპრობლემო საკითხების გადასაწყვეტად ქვეყნის პირველი პირები აკადემიას სტუმრობდნენ და აკადემიკოსების, ამ ჭკუადამჯდარი, ცხოვრების გამოცდილების მქონე ღირსეული მეცნიერების უშუალო ჩართულობით, კამათში მონაწილეობითა და რეკომენდაციების მიცემით, მათ აზრს ითვალისწინებდნენ და ქვეყნისთვის მეტად საჭირო, სასიცოცხლოდ აუცილებელ გადაწყვეტილებებს იღებდნენ.

საბოლოოდ უნდა დასრულდეს და წერტილი დაესვას დისერტაციების დაცვაში არსებულ განუკითხაობას. დღევანდელი დოქტორი ხომ მეცნიერების კი არა, აკადემიური დოქტორია, სადაც სამეცნიერო სიახლესა და მის პრაქტიკაში დანერგვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ იშტამპება ასე მარტივად დოქტორებისა და მომავალი პროფესორების დიპლომები, რომლებიც შემდგომში თავიანთ ტიტულს სიამაყით მეცნიერების დოქტორად მოიხსენიებენ ხოლმე. სამწუხაროდ, ჩვენი დასავლეთელი „მეგობრების“ დაფინანსებითა და ჩატარებული ტრენინგების წყალობით, მართალია მცირე, მაგრამ სტუდენტთა რაღაც ნაწილი პოლიტიზებულია და ისეთ მოთხოვნებს აყენებენ, თვითონაც არ იციან, რა უნდათ. სტუდენტმა უნდა ისწავლოს, ცოდნა და განათლება მიიღოს და ამის შემდეგ ჩაერთოს პოლიტიკაში.

ბატონო როინ, როგორც თქვენს გამოსვლაში აღნიშნეთ, აუცილებლად უნდა აღდგეს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის სტატუსი. უნდა გაუქმდეს ეს არაფრისმაქნისი აკადემიური დოქტორის ხარისხი და აღდგეს მეცნიერების კანდიდატისა და მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. ასევე, უნდა აღდგეს ე. წ. ვაკი, ანუ უმაღლესი საატესტაციო კომისია, რომელიც დისერტაციებს განიხილავს და დაამტკიცებს. ეს საქმე მეცნიერებათა აკადემიამ უნდა ითავოს და ასეთი სამსახური აკადემიაში უნდა შეიქმნას. რადგან ყველაზე დიდი რესურსი ამ საკითხის მოსაგვარებლად აკადემიას გააჩნია. აკადემიაში სხვადასხვა დარგის მეცნიერების განყოფილებები არსებობს, რომლებიც უაღრესად კომპეტენტური და სახელოვანი მეცნიერებით არის დაკომპლექტებული და ნაყოფიერადაც მუშაობენ. ამიტომ ამ პრობლემის ასეთი გზით მოგვარებით დიდი საქმე გაკეთდება და, მათი შენახვა ქვეყნის ბიუჯეტსაც მძიმე ტვირთად არ დააწვება. მეცნიერებათა აკადემიაში აუცილებლად უნდა გატარდეს მეცნიერების სტრუქტურული ცვლილება. უნდა შეიქმნას სამეცნიერო ცენტრები და მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით განახლდეს მეცნიერული კვლევები. მჯერა, მთავრობის მხარდაჭერითა და მხარში დგომით, პრობლემური საკითხებისადმი უკომპრომისო მიდგომით მიიღწევა დადებითი შედეგი და თანდათანობით მოგვარდება ის გამოწვევები, რომლებიც ჯერ-ჯერობით კიდევ არსებობს, როგორც მეცნიერებათა აკადემიის, ასევე ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

ომარ გოცაძე,
პროფესორი
555 33 55 36

ჩინეთი ძლიერდება იქ, სადაც აშშ დომინირებდა

უპრეცედენტო მოვლენა მოხდა გასულ კვირას. ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში პირველად წაუყენეს სახელმწიფო (ფედერალური) ბრალდება ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს დონალდ ტრამპს. სასამართლო პროცესი მაიამიში გაიმართა. ტრამპის სასამართლოში მისვლას პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ იქაური ტელევიზიები. მას რამდენიმე ასეული მხარდამჭერი დახვდა. იყვნენ მოწინააღმდეგებიც, მაგრამ მხოლოდ ერთმა გაბედა და ხმამაღლა მოითხოვა ტრამპის უპირობო დაპატიმრება. პროტესტი დიდხანს არ გაგრძელებულა, უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა ძალის გამოყენებით დაატოვებინეს ტერიტორია.

მაიამიში სასამართლოს წინასწარი მოსმენა გაიმართა. როგორც მოსალოდნელი იყო ტრამპმა ყველა ბრალდება უარყო. 37-დან ერთშიც არ სცნო თავი დამნაშავედ. მართალია მოსამართლემ პროცესის დაწყებისას ფორმალურად დააპატიმრა ტრამპი, მაგრამ ხელბორკილები არ დაუდვია. აშშ-ში ელოდნენ რომ მოსამართლე ტრამპს უპირობოდ დააპატიმრებდა, მაგრამ მოხდა პირიქით გაანთავისუფლა. არც არანაირი შეზღუდვები, თუნდაც შინაპატიმრობა არ დაუწესებია.

განთავისუფლების შემდეგ ტრამპმა საკუთარი დაბადების დღე აღნიშნა ერთ-ერთ რესტორანში მომხრეებთან ერთად. სტუმრებს გულუხვადაც გაუმასპინძლდა და

დანახარჯიც თავად გადაიხადა. წაყენებულ ბრალდებებს ტრამპი პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევს, ასევე ფიქრობს რესპუბლიკელი ამომრჩევლის 81%. მხარდამჭერებს განუცხადა თეთრ სახლში დაბრუნების შემთხვევაში გააგრძელებს „ვაშინგტონის ჭაობის“ ამოშრობას, რისი პირობაც ჯერ კიდევ 2016 წელს მისცა ამომრჩეველს. მისივე თქმით: 2024 წლის ნოემბერში აშშ-ში იზეიმებს სამართლიანობა. პირობის შესრულებამდე დონალდ ტრამპს საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება მოუწევს.

მოქმედი პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ოჯახთან დაკავშირებული კორუფციული სკანდალი უფრო და უფრო იკრებს ძალებს. გასულ კვირას კონგრესმენმა ჯეიმს კონერმა, განაცხადა რომ ბაიდენის ოჯახმა, სავარაუდოდ, უცხოთიდან ქრთამის სახით საერთო ჯამში 30 მილიონი დოლარი მიიღო. ბაიდენმა ჟურნალისტს უხეშად უპასუხა – „რატომ მაძლევთ ასეთ სულელურ კითხვას?“ ადრე უხერხულ კითხვებზე ბაიდენი მხოლოდ იქედნურად იღიმებოდა, არ პასუხობდა. ამჯერად გაღიზიანდა. ტელეკომპანია „ფოქს ნიუსის“ წამყვანმა პირდაპირ ეთერში განაცხადა: „ბაიდენს დიქტატორად მოაქვს თავი.“ საერთოდაც მხოლოდ ეს ტელეკომპანია საუბრობს ღიად ბაიდენის ოჯახის კორუფციაზე.

შეძლებს თუ არა მოქმედი პრეზიდენტი კორუფციული სკანდალის ჩაფარცხვას, პოლიტოლოგები ვერ პროგნოზირებენ. თუმცა რესპუბლიკელები მცდელობას არ აკლებენ გამოააშკარაონ ბაიდენის ოჯახის კორუმპირებულობა.

გავრცელებული ინფორმაციით არსებობს ჩვიდმეტი აუდიო ჩანაწერი, სადაც აშკარად იკვეთება თავად ჯო ბაიდენისა და მისი ოჯახის წევრების კორუფციული დანაშაული. ვის აქვს და ვინ ინახავს აღნიშნულ ჩანაწერებს უცნობია. ცნობილი გახდა, რომ ჩანაწერები აქვს გამოძიების ფედერალურ ბიუროს, თუმცა ჯერჯერობით ამ ფაქტს ასაიდუმლოებენ.

რესპუბლიკელმა კონგრესმენებმა კატეგორიულად მოსთხოვეს გამოძიების ფედერალურ ბიუროს გადასცენ ჩანაწერები შესასწავლად. ბიურო ჯერჯერობით არც აწვდის მასალებს და არც უარს ეუბნება გადაცემაზე. პოლიტოლოგებს მიაჩნათ რომ ჯო ბაიდენს იმიტომ უნდა მეორე ვადით თეთრ სახლში შესვლა, რათა როგორმე ჩაფარცხოს ოჯახის კორუფციული დანაშაული.

წელს თებერვალში იყო დაგეგმილი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის ოფიციალური ვიზიტი ჩინეთში, რომელიც ინციდენტის გამო გაურკვეველი ვადით გადაიდო. შაბათს ნავსი გატყდა და ჩავიდა ბლინკენი ჩინეთში. იქ ის საკმაოდ ცივად მიიღეს, აეროპორტში დაბალი რანგის ჩინოვნიკი დაახვედრეს. შედგა შეხვედრა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ცინ განისთან. დიალოგის შემდეგ მასპინძელმა განაცხადა: „ჩინეთ აშშ-ს პოლიტიკური ურთიერთობა ორი ქვეყნის ისტორიაში არნახულად დაბალ დონეზეა“. აღსანიშნავია ისიც, რომ ბლინკენი პირველი ოფიციალური პირია

რომელიც ბაიდენის გაპრეზიდენტების შემდეგ ოფიციალურად ჩავიდა ვიზიტით ჩინეთში. ამერიკული პრესის ინფორმაციით ბლინკენი გეგმავს ასევე შეხვდეს ჩინეთის მმართველს სი ძინპინს, რომელსაც გასულ კვირას სამოცდაათი წელი შეუსრულდა. შედგება თუ არა შეხვედრა ჯერ უცნობია.

ბლინკენის ვიზიტამდე ორი დღით ადრე, თეთრ სახლში ჩინეთი კვლავ დაადანაშაულეს თვალთვალში, რასაც კუბიდან ახორცხიელებდა. გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსის“ ინფორმაციით, ჩინეთმა კუბაში მიწის ნაკვეთი შეისყიდა. სადაც სამხედრო ბაზის მშენებლობას გეგმავს აშშ-ზე თვალთვალისთვის. ექსპერტების შეფასებით ჩინეთი აძლიერებს იმ ქვეყნებში გავლენას, სადაც ადრე აშშ დომინირებდა. ეს გარემოება კი აღიზიანებს თეთრი სახლის ადმინისტრაციას, უფრო მეტიც, ჩინეთში მყოფ ბლინკენს ცალკეულმა კონგრესმენებმა მოუწოდეს, რომ ტაივანშიც ჩავიდეს, რაც უდაოდ გააღიზიანებს ჩინეთის ხელისუფლებას. ხელოვნურად დაძაბულ პოლიტიკურ ფონზე არ ელოდებიან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას. მით უფრო მოლაპარაკების პირველი რაუნდი უშედეგოდ დასრულდა.

მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში გასულ კვირას რუსეთის ჩრდილო დედაქალაქი სანკტ-პეტერბურგი მოექცა, სადაც გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი.

ფორუმის მთავარი, საპატიო სტუმარი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები იყო. განსაკუთრებით ელოდებოდნენ მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის სიტყვას. მსოფლიოს ყველა წამყვანმა მედიამ ფართოდ გაშუქა მისი ხანგრძლივი გამოსვლა. პუტინმა მართლაც რამდენიმე საგულიხმო განცხადება გააკეთა. მისი თქმით ბელორუსში უკვე ჩაიტანეს ბირთვული იარაღის პირველი ნაწილი, სრულიად კი შეიარაღების ჩატანა ზაფხულის ბოლომდე დასრულდება. მისი თქმით „მსოფლიოში ნეოკოლონიალური პერიოდი დასრულდა“.

ამერიკელი პოლიტოლოგი დიმიტრი საიმსი შეეკითხა პუტინს, რატომ უწოდებს უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას ნაცისტებს, როდესაც იქ პრეზიდენტი ებრაელია. პუტინმა უპასუხა: „ბევრი ებრაელი მეგობარი მყავს, მათ შორის ბავშვობის, ისინი მეუბნებიან რომ ზელენსკი ებრაელი არ არის, იგი ერის სირცხვილიაო“. პუტინმა განმარტა ასევე რომ ბელორუსში ტაქტიკური ბირთვული იარაღის შეტანით არაფერი შეიცვლება, რადგან ქვეყანა ვერ შეძლებს რუსეთის ნებართვის გარეშე იარაღის გამოყენებას რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ. იქვე დაამატა რომ მის ქვეყანას ბევრი ატომური იარაღი აქვს ვიდრე ნატოს ქვეყნებს ერთად აღებულს. ჟურნალისტებს აინტერესებდათ თუ გადასცემენ უკრაინას F-16 საბრძოლო თვითმფრინავებს და როგორ უპასუხებენ ისინი გამოწვევას. პუტინმა უპასუხა: „მათ უკვე გადასცეს ტანკები და ბრონირებული მანქანები რომლებიც ბრძოლის ველზე იწვებიან. ასევე, დაიწვებიან თვითმფრინავებიც. იმ შემთხვევაში თუ გამოიყენებენ უცხოეთის აეროდრომებს, ჩვენ მოვიფიქრებთ როგორ ვუპასუხოთ“.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია აფრიკის შვიდი ქვეყნის ლიდერის რუსეთში ვიზიტმა, რომლებმაც რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოგვარების ათპუნქტიანი გეგმა ჩაიტანეს. მანამდე აფრიკელები კიევში იყვნენ, სადაც პრეზიდენტ ზელენსკის შეხვდნენ, რომელმაც სტუმრებს სამშვიდობო მოლაპარაკებაზე ფაქტობრივად უარი უთხრა და საკუთარი პირობები წამოაყენა. სამაგიეროდ, კიევში ჩართეს საჰაერო განგაშის სირენა. თითქოს დედაქალაქზე შეტევა მიმდინარეობდა. სტუმრებმა განგაშს ყურადღება არ მიაქციეს რადგან აფეთქებების ხმა არსაიდან ისმოდა, პირიქით სტუმრები გაღიზიანდნენ ასეთი ტყუილით. კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომაც განაცხადა, რომ დედაქალაქზე არანაირი შეტევა არ განხორციელებულაო.

აფრიკელ სტუმრებს პუტინი პირადად შეხვდა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ვიზიტისთვის. სტუმრებს პუტინმა გააცნო შარშან მარტში სტამბოლში მიღებული შეთანხმების პროექტი. საინტერესოა რომ დოკუმენტი პირველად გასაჯაროვდა, ხელშეკრულება 18-პუნქტიანი ყოფილა, რომლის ძირითადი თემა „უკრაინის მუდმივი ნეიტრალიტეტი და ქვეყნის უსაფრთხოება იყო“. გარანტორებად ხელმომწერი ქვეყნები გამოდიოდნენ. ხელშეკრულებას ხელმოწერით დაეთანხმნენ უკრაინის წარმომადგენლები, რაც დოკუმენტურად აჩვენა სტუმრებს პუტინმა. „შეთანხმების მიხედვით ჩვენ კიევიდან გავიყვანეთ ჯარი, რის შემდეგაც უკრაინელებმა უცხოელების წაქეზებით ხელშეკრულება ისტორიულ სანაგვეზე მოისროლეს. რა გარანტია გვაქვს, რომ სხვა შეთანხმებებსაც ასე არ მოექცევიან“ - უთხრა სტუმრებს პუტინმა. თუმცა აღნიშნა, სამშვიდობო მოლაპარაკებებზე უარს არ იტყვის რუსეთის მხარე. მადლობა გადაუხადა ასევე მათ ტავიანთი სამშვიდობო გეგმისთვის. პუტინმა ხანგრძლივი მოლაპარაკება გამართა სამხრეთ-აფრიკის პრეზიდენტთან სირილ რამაფოსისთან.

აღსანიშნავია, აფრიკელები პოლონეთის გავლით ჩავიდნენ რუსეთში და სამშობლოში დაბრუნდნენ. პოლონელებმა მათ ორივე მხარეს მგზავრობისას საკმაოდ დიდი პრობლემები შეუქმნეს, რამაც გაანაწყენა აფრიკელები. ძველ პროფესიას დაუბრუნდა ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი, რომელმაც სამსახური „დეილი მეილის“ რედაქციაში დაიწყო. გამოცემაში, რომელიც მუდმივად აკრიტიკებდა და დასცინოდა ჯონსონს. მელიასი არ იყოს, ჯონსონსაც თავისი მაგინებლები ჰყვარებია.

გია ბურდული
551 71 27 07

ვის ჰყავს ყველაზე ძლიერი ჯარი



შარშან ოქტომბერში ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ კარიბის კრიზისის შემდეგ პირველად შეიქმნა ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე, ექსპერტები კი ამბობენ, რომ ცივი ომი კვლავ გრძელდება და მისი ინტენსივობა გაზრდილია. ევროსაბჭოს ხელმძღვანელის, შარლ მიშელის თქმით, ევროკავშირი უკვე ჩართულია ცივი ომში, რომლის პირველი ნიშანი გამალებული შეიარაღებაა.

შეიარაღებული ძალების კორექტული შედარებისთვის ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაა საჭირო, რომელთა უმრავლესობა გასაიდუმლოებულია. ამიტომ ძირითადი მეთოდიკები მხოლოდ ძალთა თანაფარდობის მიახლოებითი მონაცემების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

ერთ-ერთი რესურსი, რომლებიც სამხედრო ძლიერების რეიტინგებს ადგენენ, საიტი **Gglobal Firepower (GFP)-ია**. რეიტინგის შედგენისას ანალიტიკოსები 50-ზე მეტ ფაქტორს ითვალისწინებენ, მათ შორის ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ მონაცემებს.

მსოფლიოს უძლიერესი არმია

GFP-ის მოსაზრებით, 142 ქვეყანას შორის აშშ-ის შეიარაღებული ძალები მსოფლიოში უძლიერესია. აშშ ყველაზე მეტ საფრენ აპარატს ფლობს. ამერიკელი სამხედროების განკარგულებაშია მეხუთე თაობის გამანადგურებლების **F-22** და **F-35 Lightning II**-ის და შემტევი ვერტმფრენების უდიდესი პარკები.

ავიაციის გარდა, აშშ-ის არსენალშია უმსხვილესი ავიამზიდი ფლოტი, რომელშიც 11 ხომალდი შედის. ამერიკა ასევე დიდი რაოდენობით საბრძოლო ჯავშნოსანი მანქანების, ჯავშანტრანსპორტიორების, ფეხოსანთა საბრძოლო მანქანებისა და საბრძოლო მინებისგან დაცული ჯავშნოშანი ავტომანქანების მფლობელია. აშშ აქტიურად აწვდის იარაღსა და ჟავშანტექნიკას უკრაინას, ამიტომ სამხედროები ცდილობენ მეტი ტექნიკის შეძენას, რათა კიევისთვის გადაცემული შეიარაღება ჩაანაცვლონ.

აშშ-ის ლიდერობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს თავდაცვისთვის გამოყოფილი უზარმაზარი ბიუჯეტი, რომელმაც 2023 წლისათვის 850 მლრდ დოლარი შეადგინა. გარდა ამისა, აშშ ლიდერია ნავთობმოპოვებაშიც, რასაც რეიტინგის შემდგენლები ნებისმიერი საბრძოლო მოქმედების სასიცოცხლო ძალების წყაროდ მიიჩნევენ.

ევროპის ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია

GFP-ის რეიტინგის მიხედვით, რუსეთის შეიარაღებული ძალები მეორე, შვედური გამოცემის **"Svenska Dagbladet"**-ის ჟურნალისტების აზრით კი პირველ ადგილზეა.

რუსეთის შეიარაღებული ძალები ძირითადი საბრძოლო ტანკების რაოდენობით ლიდერობენ. **GFP**-ის მონაცემებით, რუსეთის ტანკების რაოდენობა 12,4 ათასია. პოლონური გამოცემა **Defence-24**-ის აზრით, 2021 წელს რუსეთს ჰქონდა 3 500 ტანკი, მათ შორის მოდერნიზებული ტანკები.

თვითმავალი საარტილერიო დანადგარების მიხედვითაც რუსეთი პირველ ადგილზეა — 2022 წლის დასაწყისისთვის მათი რაოდენობა 5,5 ათასი ცალი იყო.

რუსეთს აქვს უდიდესი წყალქვეშა ფლოტი ატომური, დიზელ-ელექტრონული წყალქვეშა ნავებით, რომლებზეც ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტებია განთავსებული. შარშან ივლისში სამხედრო-საზღვაო ფლოტმა სპეციალური დანიშნულების ახალი ატომური წყალქვეშა ნავი მიიღო, რომელიც წყალქვეშა აპარატების — „პოსეიდონების" გადამზიდი იქნება.

რატომ გახდა ჩინეთის არმია ერთ-ერთი ძლიერთაგანი?

GFP-ის რეიტინგში მესამე ადგილი ჩინეთს უკავია, რომელიც მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ლიდერობს. სწორედ ეს განაპირობებს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის რაოდენობას, რომელიც ორ მილიონ ადამიანზე მეტს შეადგენს. აღნიშნავენ, რომ მოსახლეობის დიდი რაოდენობა შეიარაღებული ძალების საჭიროებების სწრაფად უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა.

ჩინეთის თავდაცვის ბიუჯეტი შარშან 229,5 მლრდ დოლარამდე გაიზარდა, პეკინი ავითარებს სამხედრო-საჰარო ძალებსა და ფლოტს, ის პირველი ავიამზიდის მფლობელიც გახდა.

ჩინეთი მუშაობს ახალი პერსპექტიული იარაღის შექმნაზე. მისმა სამხედრო-საზღვაო ძალებმა პირველად გამოსცადეს ზებგერითი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა. პეკინს 200-მდე მეხუთე თაობის გამანმადგურებელი ჰყავს.

როგორ შეიცვლება ლიდერთა სამეული?

GFP-ის ანალიტიკოსები შეიარაღებული ძალების შედარებისას არ ითვალისწინებენ ბირთვული იარაღის ფლობას. მიუხედავად ამისა, განვითარებული შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი მაჩვენებელი ბირთვული შეტევის ეფექტიანი შეკავების შესაძლებლობაა. ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის შეფასებებით, დედამიწაზე არსებული ბირთვული ქობინების 90 პროცენტი ამერიკასა და რუსეთს ეკუთვნით. მოსალოდნელი უტილიზაციის გათვალისწინებით, საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი და საწყობებში განთავსებული ქობინების მიხედვით, რუსეთს ეკუთვნის ქობინების 5 977 ერთეული, ამერიკას 5 428, მესამე ადგილზე მყოფი ჩინეთის არსენალი 350 ბირთვული ქობინია.

რუსეთმა მსოფლიოში პირველმა შექმნა ზებგერითი რაკეტები. შარშან ნოემბერში სარაკეტო ჯარების გადაიარაღება დაიწყეს და ისინი სტრატეგიული სარაკეტო კომპლექს „ავანგარდით" შეცვალეს, რომლებსაც ზებგერითი დამგეგმავი ბლოკები გააჩნიათ. **„The Washington Times"** აშშ-ის კონგრესის კვლევითი სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით წერდა, რომ ამერიკულ რაკეტსაწინააღმდეგო სარადარო სისტემებს არ შეუძლიათ რუსული და ჩინური ზებგერითი რაკეტების აღმოჩენა. Eეს გარემოება, შესაძლოა, მომავალში ბალანსის შეცვლის მიზეზი გახდეს.

ყველაზე ძლიერი არმიების სამეულში ადგილების გადანაწილებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ამერიკის ავიაციის მდგომარეობამ. აშშ-ის დამთვლელი პალატის ანგარიშის მიხედვით, 2021 წლისათვის საბრძოლო მდგომარეობაში იყო სტრატეგიული ბომბდამშენების მხოლოდ 40,7 და გამანადგურებლების 50 პროცენტი. თავის მხრივ, ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალებს. სტრატეგიული და საბიუჯეტო შეფასებების ცენტრის ჰიპოთეზის თანახმად, თუ ჩინეთი სწორად გათვლის დანახარჯებს, რვა წლის განმავლობაში პეკინი ფლოტის ტონაჟის გაორმაგებას შეძლებს, რაც ჩინეთისა და აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტების გათანაბრებას გამოიწვევს.

რომელ ადგილზეა ინდოეთი?

ინდოეთის შეიარაღებული ძალები მეოთხე ადგილზეა მსოფლიოს უძლიერეს არმიებს შორის. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ინდოეთი ჩინეთს ჩამორჩება, ანალიტიკოსების მოსაზრებით, ინდოეთში უფრო მეტი ადამიანია, რომელთა ჯარში გაწვევაც შეიძლება.

სამობილიზაციო რეზერვის მიხედვით, ინდოეთი ლიდერთა სამეულში შედის და მხოლოდ ტაივანსა და ბრაზილიას ჩამორჩება, ასევე სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის მიხედვითაც, რაც 1,4 მლნ-ს შეადგენს. ინდოეთის შეიარაღებული ძალები აღჭურვილია თანამედროვე შეიარაღებით, ტანკებითა და გამანადგურებლებით.

იაპონიის თავდაცვითი ძალების შესაძლებლობები

მსოფლიოს უძლიერესი არმიების ხუთეულში შედის იაპონიის თავდაცვითი ძალები. ქვეყნის კონსტიტუცია შეიარაღებული ძალების მოღვაწეობას ზღუდავს, თუ ის უშუალოდ თავდაცვასთან არ არის დაკავშირებული. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია იაპონიისთვის, თავისი არმია გაეძლიერებინა.

ვერტმფრენების მზიდების რაოდენობით იაპონია მხოლოდ ამერიკას ჩამორჩება — იაპონიის საზღვაო ძალებს ამ ტიპის ოთხი ხომალდი ჰყავს და ნაღმოსნების რაოდენობის მიხედვით ლიდერთა სამეულშია. იაპონიის თავდაცვის ძალების არსენალში თანამედროვე ტიპის ტანკები, მძიმე შეიარაღებიანი ავტომანქანები და ამერიკული გამანადგურებლები **F-35 Lightning II** შედის.

კიდევ რომელი არმიები შედის უძლიერესთა ათეულში

უძლიერესი არმიების ათეულში შედის სამხრეთ კორეის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, პაკისტანისა და ბრაზილიის არმიები. სამხრეთ კორეის არმიას აძლიერებს თვითმსვლელი და ბუქსირებული არტილერია, საფრანგეთისას — თანამედროვე ავიამზიდი „შარლ დე გოლი", დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეიარაღებაში კი ორი ავიამზიდია, რომლებსაც შეუძლიათ **F-35B** ტიპის თვითმფრინავების გადაზიდვა.

პაკისტანი, რომელიც მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მეხუთე ადგილზეა, მეშვიდე ადგილს იკავებს სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის მიხედვით, ბრაზილიას კი ყველაზე მეტი რეზერვისტი ჰყავს.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

რატომ არ იღებს ხმას ის თაობა, რომელსაც ქართულ კინოში სიტყვა ეთქმის?!

არც მახვილი დაგვკლებია, არც მტერი და არც დუშმანი

გვესაუბრება კინოსტუდია „მემატიანეს“ დირექტორი რევაზ მახათაძე:

— ბატონო რევაზ, კინოცენტრში უკვე კვირაზე მეტია, პროტესტი არ წყდება. ბოიკოტს მწერლებიც შეუერთდნენ. რეალურად რა ხდება?

— კინოცენტრის თანამშრომლების გაღიზიანება ორმა საკითხმა გამოიწვია — გაგა ჩხეიძის გათავისუფლებამ და რეორგანიზაციამ. ზოგადად გეტყვით, რომ რეორგანიზაცია მარტო კინოცენტრში კი არა, ქართულ კინოშიც ჩასატარებელია. ბოლო 30 წელია, ქართული კინო ჭაობად იქცა, რაც დანაშაულია. რეორგანიზაციას აპროტესტებენ, არადა, კინოცენტრმა კინოსტუდია „მემატიანეს“ დიდი ხნის წინათ ჩაუტარა. კინოცენტრის დიდი სურვილი კინოსტუდია „მემატიანეს“ გაკოტრება და მისი არსებული ქონების გარეშე დატოვება იყო. ყველას აჯერებდნენ, რომ აქ არსებული ქონება ღირებულს არაფერს წარმოადგენდა და მისი 80% უბრალოდ ნაგავი იყო. ერთპიროვნულად ვერავინ გადაწყვეტს, კინოსტუდიის ქონება სანაგვეზე მოისროლოს. ამის უფლებას არავის მივცემ. მავანს სურდა, ყველაზე ღირებული 20-30-50-იანი წლების შავ-თეთრი კინომასალა გაეყიდათ, დაეწვათ, გადაედნოთ, რასაც ეტაპობრივად აკეთებდნენ.

თავი იჩინა პრობლემამ — აღნიშნული ფართი ალმაშენებლის №164-ში, ძველი კინოსტუდიის ტერიტორიაზე მდებარეობდა. მავანს სურდა, კინოსტუდია, როგორც ორგანიზაცია, გამქრალიყო. მეუბნებოდნენ, რომ „მემატიანე“ ბანკროტად გამომეცხადებინა. კინოსტუდიას საკმარისი ვალები ჰქონდა დაგროვილი, რომელთა განულება ვცადე. სახელმწიფომ ეს ფართი გაყიდა, ვალები დავფარე და მდგომარეობიდან გამოვედი. თუმცა, როგორც გაირკვა, ვიღაცას ხელს მაინც ვუშლიდი, ამ ტერიტორიაზე არასასურველ პიროვნებად ვიქეცი. საქმე ისაა, რომ ჩემთან ბრძოლით კინოცენტრის ხელმძღვანელი გაგა ჩხეიძე იყო დაკავებული, რომელიც ორგანულად ვერ მიტანდა. ერთხელ კულტურის სამინისტროში განმიცხადეს: გაგას არ უყვარხარო. ეს ჩემთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია. არსებობს დარგი, რომელსაც პატრონობა სჭირდება. აი ეს არის მთავარი. ეს საკითხი არც ევროკავშირის გადასაწყვეტია და არც ნატოს, არამედ ჩვენი — კინემატოგრაფისტების მოსაგვარებელია. დღეს კინოცენტრის თანამშრომლები რეორგანიზაციას აპროტესტებენ. მათგან უმეტესობას სახეზეც ვერ ვცნობ, არ ვიცი, ვინ არიან, ან საიდან მოვიდნენ. ბოლო 30 წელმა ეს ხალხი დაანაწევრა, ერთმანეთი შეაზიზღა და ვინ რომელ ნავშია და საითკენ უსვამს ნიჩბებს, ვერ გაიგებ. ეს სიტუაცია კრილოვის იგავს — „**Лебедь, рак да щука**“-ს მაგონებს. აი, ასეთი რთული მდგომარეობაა.

დააცადეთ, ახალ ხელმძღვანელობას, გუშინ მოვიდნენ და რას აპროტესტებთ?! თუ უპატიებელ შეცდომას დაუშვებენ, მერე გააპროტესტეთ. კიდევ იცით, რა მიკვირს? — ორიოდე დღის წინათ ტელევიზიით გამოაცხადეს: კინოცენტრის თანამშრომლების პროტესტს მწერლებიც შეუერთდნენო. კი მაგრამ, მწერალთა კავშირი რომ დაშალეს, მწერლებს საკუთარი სახლი წაართვეს და შენობიდან გამოყარეს, მაშინ სად იყვნენ ეს მწერლები, რატომ არ აპროტესტებდნენ, ახლა გამოდგნენ კინოს დამცველებად?!

ორმოცდაათი წელია, კინოინდუსტრიაში ვარ და მე არ მაქვს პრეტენზია დიდ ოპერატორობაზე. მე „ქართული ფილმის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე ვიყავი და კინოსტუდია „მემატიანეს“ ფასი ვიცოდი — ეს ჩვენი განძი იყო. ნაპოლეონის ჯარის კოსტიუმები დაგვიწვეს. რაც შემეძლო, გავაკეთე და ამ ქალბატონებს გვერდით დავუდექი.

დღეს პირობებიც გვაქვს და სივრცეც არის. მაშინ, გაგა ჩხეიძემ განაცხადა: „ქართული ფილმის განვითარების ფონდის“ ტერიტორიაზე კინოს ხალხს არ გავაჭაჭანებო. აბა, ვინ უნდა იყოს კინოცენტრში — ისეთი ადამიანები, რომელთაც კინოსთან შეხება არ აქვთ?! ამ დროს ამ ფონდის ხელმძღვანელი გახლდათ პროფესიით ექიმი ილია ბექაური, რომელიც გაგა ჩხეიძის თანაკლასელი იყო!!! რამდენიმე დღის წინ პოსტი დავდე და არავინ შემომხმიანებია, მხოლოდ პროფესიონალმა კინემატოგრაფისტებმა გადამიხადეს მადლობა. აბა, დამიჯდნენ ტელევიზიით პირისპირ და საზოგადოებაც დაინახავს, ვინ ვინ არის. ეს ხელების ბრაზუნი და სტვენა რა წესია. სასტვენებით სიარულით უნდათ ქართული კინოს გადარჩენა?

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის საცავია, რომელსაც მე ვპატრონობ. საცავში 27 ათასი კოლოფი კინოფირი და 25 ათასი ქართული ფილმი, ანიმაცია და სასწავლო სტუდიის ფილმებია. ასევე, 2200 აუდიოკასეტა. 2020 წელს გაგა ჩხეიძე ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ კულტურის სამინისტრომ „მემატიანესთვის“ 120 ათასი ლარი გამოყო. ამ საუბარს „ქართული ფილმის“ ორი დირექტორი — ხათუნა ხუნდაძე და გიორგი ხარებავა ესწრებოდნენ. მე ვუთხარი, რომ ამდენი არ მჭირდებოდა და 64 ათასი ლარიც საკმარისი იყო. სამი-ოთხი თვე მატარეს და ბოლოს მითხრეს: ვერ დაგაფინანსებთო. კულტურის სამინისტროში მივედი. ასეთი პასუხი გამცეს: გაგას არ უყვარხარო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საცავს, ელემენტარულად, დარაჯი და დამლაგებელი ხომ მაინც სჭირდება, რომ ოთახი გაანიავოს ან მტვერი გადაწმინდოს. მოკლედ, არ დამაფინანსეს. ზაფხულის დასაწყისიდან მაღალი ტემპერატურის გამო საცავებში წყლით სავსე ტაშტებს ვდგამთ — ფირებს წყალს ვუდგამ, რათა აორთქლება მოხდეს, რომ ტენიანობა შეინარჩუნოს. მინდა გითხრათ, რომ ქართულ კინოს რაც გადახდა, ზუსტად, საქართველოს ისტორიის ანალოგია — არც მახვილი დაგვკლებია, არც მტერი და არც დუშმანი. ახლა კინოცენტრის თანამშრომლებს პრეტენზია აქვთ, რადგან მათ სამსახურს საფრთხე შეექმნა. მაგრამ ამ ხალხს რომ ვუყურებთ, როგორ ბრაზუნობენ აგერ კვირაზე მეტია, ხომ უნდა დავფიქრდეთ: ვის ვუტოვებთ, კინოცენტრს?! „მემატიანეს“ დაფინანსების საკითხს დავუბრუნდები. კულტურის სამინისტროში იცით, რა მითხრეს? — ხალხის ფულს ვერ მოგცემთო. ვუპასუხე: თუ მიგაჩნიათ, რომ ეს ქონება ხალხის არ არის, მაშინ ჩემი ყოფილა, მომეცით დამადასტურებელი დოკუმენტი და საქმეს თავად მივხედავ-მეთქი.

— ბატონო რეზო, როგორც ვიცი, ერთ-ერთი ორგანიზაცია „მემატიანესთვის“ ორი სკანერის ჩუქებას აპირებდა...

— კი ბატონო, სკანერსაც გვჩუქნიდა, მაღალი ხელფასების დანიშვნასაც გვპირდებოდა და ქონების 50%-ს ითხოვდა გაყიდული მასალის შემოსავლიდან. ამაშიც კი ხელი შემიშალეს. მერე ჩვენი მიერთება „ეროვნულმა არქივმა“ მოინდომა, პირობებიც იგივე გვექნებოდა. აქაც ხელი შემიშალეს. „მემატიანეს“ არსებობა არ უნდათ, რაც გაგა ჩხეიძის დამსახურებაა. ქართულ კინოში დესანტი, მტერი გადმოსხეს. თან გაგა ჩხეიძე კინოს საკითხებში კულტურის სამინისტროში მრჩეველი იყო და გასაგებია, რაც ხდებოდა. სხვა რა ვიფიქრო — როცა საფრანგეთის ეროვნული არქივი სკანერს გაჩუქებს, რომელიც რამდენიმე ათეული ათასი ევრო ღირს და ამას დაგიმალავენ, არ ჩამოგიტანენ... მაშინ სკანერი ეროვნულ არქივსაც არ ჰქონდა. „ქართული ფილმის“ სკანერი გაფუჭებული იყო. „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ სკანერი ახლაც არ აქვს. ქვეყანაში ძლივს გამართული სკანერი უნდა ჩამოეტანათ, მაგრამ გაგამ ისე წარმოაჩინა, თითქოს ის ჩემი საკუთრება უნდა ყოფილიყო და ჯიბეში ჩავიდებდი. მიკვირს, საიდან ამდენი ზიზღი ქართული კინოს მიმართ? ან რატომ ვუსმენთ მათ, ვისაც ამ სფეროში არაფერი გაეგება?!

— „მემატიანესთვის“ გამოყოფილი 120 ათასი ლარი სად გაქრა, რას მოხმარდა?

— ამ ფულით წიგნი უნდა გამოვცეთო, — ასე მითხრეს. წიგნის გამოსაცემი ფული მათ ისედაც ჰქონდათ. თან საოცარი იცით, რა არის, 2020 წელი კინომემკვიდრეობის გადარჩენის წლად გამოაცხადეს! როგორც გადაარჩინეს, კი ხედავთ.

საოცარია, ქართველი კაცის მიდგომა თავის მიერვე გადაღებული ფილმების მიმართ. მაქსიმუმ, ათ რეჟისორს თუ ჩამოვთვლი, რომლებიც დაინტერესდნენ, თუ რა მდგომარეობაშია საცავი. ერთი-ორმა პრეტენზიულმა რეჟისორმა თავისი ფილმები მოიტანა, სტუდიის შემოსასვლელში დაყარა და წავიდა. მადლობაც არ უთქვამთ — ეს ფილმები ფირზე გადავიტანე, გავასუფთავე და შევინახე.

თითქოს ვალდებული ვიყო. ჩემს შრომას არავის ვამადლი, მაგრამ საწყენი ისაა, რომ პრეტენზია მათ აქვთ, ვისაც არაფერი გაუკეთებია.

ფილმების გადასაღებად დიდი ოდენობით თანხებია გაცემული, რეჟისორებს ფილმების გადაღება ჯერ არ დაუმთავრებიათ. ფილმებს არ გვაჩვენებენ, თავისთვის იწყობენ ტაშ-ფანდურს. ჩემი რჩევა იქნება, თაობებს შორის ხიდს ნუ ჩავტეხავთ. ვის უმალავენ ამ ფილმებს? დიახ, ფილმების შექმნაზე თანხებია გადახდილი, მაგრამ ბევრია ისეთი, რომელიც არავის უნახავს. რატომ პასუხს არ სთხოვენ მათ, ვინც თანხები გახარჯა, ფილმის გადაღება კი ჯერაც არ დაუსრულებია?!

— ახალი ხელმძღვანელობისგან რა მოლოდინები გაქვთ?

— მათ აუცილებლად შევხვდები. სანამ სტვენას და ბრახაბრუხს დაიწყებ, ჯერ ხომ უნდა გაიგო: რა გეგმა აქვთ. რაღაც შეხვედრები უკვე მქონდა და იმედიანად ვარ განწყობილი. ბუნებრივია, კინოცენტრის ხელმძღვანელობა ვალდებულიც არის, შეგვხვდეს. იქნებ, ახალ ხელმძღვანელობას საუკეთესო იდეები აქვს, რატომ არ ვაცდით?

ბოლოს მინდა გითხრათ: ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ახალგაზრდები საუბრობდნენ, რეგიონებში კინოთეატრები არ არისო. სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ საკუთრებაში ასი კინოთეატრი გვქონდა და ყველა გაგვიყიდეს. „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში კიდევ რომ დარჩენილიყო, დღეს კინოსტუდიის ნასახი აღარ იქნებოდა. ალმაშენებლის გამზირზე რომ ვიყავით, მოდიოდნენ და ფართებს არჩევდნენ გასაცვლელად, ქალაქის ცენტრში ამ ტერიტორიის ათვისება უნდოდათ, ამიტომაც ვიყავი მათთვის არასასურველი კაცი ჩემი „მემატიანეთი“. გაგა ჩხეიძე სულ ამბობდა: ქართული კინო გასაუქმებელიაო. ახლა გამოდის ახალი თაობა და ვიშვიშებს: ჩემს სოფელში კინოთეატრი არ არისო. მერე, რატომ არ ინტერესდებიან, რომელ წლებში გაიყიდა? რატომ შეჰყავთ საზოგადოება შეცდომაში? ვიღაც სტუდენტი ამბობდა: საპროტესტო მოთხოვნას სამასმა სტუდენტმა მოაწერა ხელიო. რამდენი ათასი სტუდენტია სულ საქართველოში?!

გაგა ჩხეიძემ რა აღარ დამაბრალა. ახლა ეს პიროვნება უნდათ, წამებულად წარმოაჩინონ და პროტესტის საბაბად აქციონ. ვისი მოყვანილია კინოცენტრის დირექტორად და მანამდე რას წარმოადგენდა?! ახლა ესენი დემოკრატიაზე ლაპარაკობენ?! წესით, ხალხში ვერ უნდა გამოდიოდნენ, ისე, უნდა რცხვენოდეთ. პროტესტანტებზე ვამბობ. სად არის სამართალი?! მიკვირს, რატომ არ იღებს ხმას ის თაობა, რომელსაც ქართულ კინოში სიტყვა ეთქმის. ასე ჩუმად როდემდე უნდა ივყნენ?! **მოსწონთ ეს პროტესტი?!**

თამარ შველიძე
555 23 28 24

საზღვარგარეთ დღემდე დიდი მოთხოვნაა ქართველ სუროგატ დედებზე

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საქართველოს მთავრობამ დაიწყო მუშაობა კანონპროექტზე, რის მიხედვითაც, უცხოელი წყვილებისთვის საქართველოში სუროგაცია აიკრძალება და ის მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის იქნება ხელმისაწვდომი. პრემიერის განმარტებით, უცხო ქვეყნის მოქალაქე ვეღარ „შეუკვეთავს“ სუროგატ დედას ბავშვის გაჩენას, რადგან არავინ იცის, რეალურად ვის გაჰყავს ქვეყნიდან ქართველი ბავშვი.

პრემიერის ინიციატივაზე და საქართველოში არსებულ ზოგად დემოგრაფიულ მდგომარეობაზე „საერთო გაზეთთან“ ექსპერტი დემოგრაფიულ საკითხებში, მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი, თამარ ჩიბურდანიძე საუბრობს:

– 2022 წლის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 42 319 პატარა დაიბადა, 49 118 ადამიანი კი გარდაიცვალა. ამავე წელს დაქორწინდა 26 048, ხოლო განქორწინდა 14 098 წყვილი. ქვეყანაში შემოვიდა 179 728 უცხოელი მიგრანტი, ხოლო ემიგრაციაში წავიდა საქართველოს 125 269 მოქალაქე. 2023 წლის 1-ელი იანვრის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 3 736 400-ს შეადგენს.

სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში შობადობა შემცირდა, არ გვაქვს ბუნებრივი მატება, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს არ არის მიმდინარე პოლიტიკის შედეგი, ეს 90 -იანი წლების შედეგია, როდესაც წინა ათწლეულებთან შედარებით ორჯერ ნაკლები რაოდენობის გოგონა დაიბადა. 1980-იან წლებში საქართველოში გაჩნდა 500 ათასი გოგონა, ხოლო 90-იან წლებში კი - 240 ათასი. ეს გოგონები ახლახან შევიდნენ რეპროდუქციულ ასაკში და მათმა განახევრებულმა რაოდენობამ, რა თქმა უნდა, განახევრებული შობადობა მოგვცა. ამიტომაც დაიწყო შობადობა „მინუს-ბალანსით“ და ალბათ, უფრო მეტი კლება გვექნება... ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

შობადობის კლების მეორე უმთავრესი მიზეზი კი, რაზეც არავინ საუბრობს, უბრალოდ, ამაზე საუბარი ხელს არ აძლევთ (განსაკუთრებით, ოპოზიციას) - ეს არის ცივილიზაცია, რაც ევროპული ქვეყნების მსგავსად, ჩვენს ქვეყანაშიც შემოვიდა. ახალგაზრდები ადრეული ასაკიდან იწყებენ სქესობრივ ცხოვრებას და მშობლების თანხმობით თუ მათი ნების წინააღმდეგ, ე.წ. თავისუფალი ურთიერთობები აქვთ. ასეთ შემთხვევაში კი წყვილი შვილის გაჩენაზე არ ფიქრობს. ამ მიზეზით ქორწინებათა რიცხვმა საგრძნობლად იკლო, ოჯახები არ იქმნება და თუკი ვინმე მაინც ქმნის ოჯახს ახალგაზრდა ასაკში, მათი უმეტესობა შვილის გაჩენას არ ჩქარობს. არ ვიცი ეს „მოდური“ გახდა თუ რა ხდება, მაგრამ მიზეზად ახალგაზრდები გეტყვიან, რომ ჯერ არ სცალიათ ბავშვისთვის, სწავლობენ, ან ბავშვის რჩენის ფინანსური საშუალება არა აქვთ... თუმცა, რამდენიმე ასეთი ოჯახი გადავამოწმეთ და ფინანსური კრიზისი მათ ნამდვილად არ ჰქონიათ. სავარაუდოდ, ახალგაზრდებს არ უნდათ იმ თავისუფლების დაკარგვა, რაც ადამიანს შვილის გაჩენამდე აქვს და გარკვეული პერიოდი სჭირდებათ ასეთი პასუხისმგებლობის ასაღებად.

საქართველოში შობადობის კლების უმთავრესი მიზეზი ქორწინებათა რაოდენობის შემცირება, წყვილებს შორის თავისუფალი ურთიერთობები, დაქორწინების შემთხვევაში პირველი შვილის გაჩენის გადავადება და ზემოხსენებული 90-იანი წლები, როდესაც სერიოზული ეკონომიკური კრიზისი იყო ქვეყანაში და საქართველოდან ყველაზე დიდი მიგრაცია დაიწყო.

– საინტერესოა, რა პროგნოზი გაქვთ დემოგრაფებს სამომავლოდ, როგორ განვითარდება მოვლენები ცივილიზაციის ფონზე?

– ყველას აინტერესებს, რა მოხდება უახლოეს მომავალში. მოხდება ის, რომ ეს დემოგრაფიული თაობა, რომელიც რეპროდუქციულ ასაკში შევიდა, გააგრძელებს შობადობას კლების რეჟიმში, რადგან ჩვენ ახლა ვეღარ გავაჩენთ 20 წლის წინათ დასაბადებელ გოგონებს. თუმცა, სასიხარულო ფაქტია, რომ წინა წლებში საგრძნობლად გაიზარდა მესამე და შემდგომი ახალშობილების რაოდენობა, რადგან საქართველოს 6 და ყველა მაღალმთიან რეგიონში ამოქმედდა წახალისების პროგრამა. პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, 2014 წლიდან დღემდე, მესამე და შემდგომ ახალშობილზე გაიცემა ფულადი დახმარება, მაღალმთიან რეგიონებში კი - პირველივე შვილზე. გარდა ამისა, ძალიან დიდი შედეგი გამოიღო უწმიდესის, კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორის ინიციატივამ ყოველი მესამე და მომდევნო შვილის მონათვლის თაობაზე, რაც 2008 წლიდან გრძელდება. ამ ყველაფერმა, საერთო ჯამში, მოგვცა ის ბალანსი, რომ უფრო მეტად არ შემცირდა შობადობა საქართველოში. აქედან გამომდინარე, საგულისხმოა, რომ ახლო მომავალში აუცილებლად გამოსწორდება დემოგრაფიული ვარდნა და შობადობა გაიზრდება.

– ახლახან ცნობილი გახდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივის შესახებ, რის საფუძველზეც უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოში სუროგატი დედის მომსახურებით ვეღარ ისარგებლებენ და როგორც თავადვე უწოდა, ამით ერთ-ერთი ყველაზე „სარფიანი ბიზნესიც“ დასრულდება...

– პრემიერის ინიციატივა, რითაც ნამდვილად ძალიან დიდი და სარფიანი ბიზნესი უნდა დასრულდეს, საქართველოს მოქალაქეებს, მათ შორის, არც უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს არ ეხება. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს ეხება უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც სუროგაციის გზით წლების განმავლობაში გაჰყავდათ ქართველი ბავშვები, თუმცა ბოლო დროს, გარკვეული შეზღუდვები უკვე იყო ამ მიმართულებით. რამდენიმე წლის წინათ სახელმწიფომ მიიღო კანონი - დიმიტრი ხუნდაძე ხელმძღვანელობდა მაშინ ჯანმრთელობის დაცვის საპარლამენტო კომიტეტს - რომლის საფუძველზეც, ქართველი ბავშვების უცხოეთში გაშვილება ძალიან გამკაცრდა.

საზღვარგარეთ დღემდე დიდი მოთხოვნაა ქართველ ბავშვებზე ჯანმრთელი გენეტიკის გამო, თუმცა, როგორც აღვნიშნე, ხელისუფლებამ თითქმის მინიმუმამდე დაიყვანა ჩვენი ბავშვების საზღვარგარეთ გაშვილების ფაქტები. შემდეგ ახალი გზა იპოვეს. შემოდიოდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, როგორც ტურისტები და სუროგაციის გზით გაჰყავდათ ნაყოფი, შემდეგ კი ეს ბავშვები უცხოეთში იბადებოდნენ. ძალიან კარგი და დროულია პრემიერ-მინისტრის ეს ინიციატივა, რადგან, თუ საქართველოში კეთდება სუროგაცია, თუნდაც ინვიტრო განაყოფიერება, ყველაფერი დადგენილია, გამოკვლეულია, ყოველგვარ ინფორმაციას აწვდიან მშობელს მომავალი შვილის, მისი გენეტიკის შესახებ, თუნდაც იმიტომ, რომ მომავალში არ მოხდეს სისხლის აღრევა და მისი ნათესავთან შეუღლება. ასევე, ყველაფერი ცნობილია იმ ადამიანის შესახებაც, ვისაც შვილის აყვანა უნდა. ყველაფერი გათვალისწინებულია... მაგრამ, როცა ბავშვი საზღვარგარეთ გაჰყავთ, ღმერთმა იცის, სად, როგორ ოჯახში, როგორი მშობლების ხელში მოხვდებიან ისინი. სწორედ ეს გზა ჩაკეტა პრემიერ-მინისტრმა, გადაარჩინა ქართული გენი და ის საქართველოში დატოვა.

– ხელოვნურ განაყოფიერებას და სუროგაციას არც მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს, თუმცა, ადამიანური თვალსაზრისით, ვფიქრობ, ეს მაინც კეთილი საქმეა...

– მესმის, რომ ეკლესიას ნეგატიური დამოკიდებულება აქვს ხელოვნური განაყოფიერების, განსაკუთრებით სუროგაციის მიმართ. აქვთ კიდევაც ამისი თქმის უფლება, მაგრამ, თუკი ყველაფერს სამოქალაქო კუთხით შევხედავთ, უდიდესი სიკეთეა, როცა უშვილო ოჯახს აბედნიერებ. ვინც იცის, რა არის უშვილობა და უშვილობით გამოწვეული ტკივილი, ადვილად გაიგებს, რომ ამ ოჯახებისთვის უდიდესი ბედნიერებაა შვილის ყოლა. მე აბსოლუტურად თანავუგრძნობ უშვილო წყვილებს, რომლებსაც სურთ, რომ შვილი ჰყავდეთ და მინდა, თითოეულ მათგანს ეს ოცნება აუხდეს.

– გარდა იმისა, რომ ბევრი ემიგრანტი გვყავს, ქართველი ახალგაზრდები უცხოეთში მიდიან სასწავლებლად, სამოგზაუროდ, სამუშაოდ... და არცთუ იშვიათად ქმნიან ოჯახს ასევე, უცხო ქვეყნების მოქალაქეებთან. სავარაუდოდ, გარკვეულწილად, ესეც უარყოფითად აისახება წლების შემდეგ ქვეყნის დემოგრაფიულ მაჩვენებელზე...

– ყველა ეპოქას თავისი დამახასიათებელი გარემოებები აქვს. გარკვეული დროის შემდეგ კი ყველაფერი ლაგდება, ყალიბდება და საბოლოო სახეს იღებს. საზღვრების გახსნამ და კომუნიკაციის გამარტივებამ ქვეყნიდან ადამიანების გადინებას შეუწყო ხელი. საზღვრები ღიაა, რა თქმა უნდა, მათ ვერ ჩავკეტავთ და ვერც ქორწინებას ავუკრძალავთ ვინმეს. ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, სასურველია, ქართული წყვილი შედგეს და ქართული ოჯახები შეიქმნას, მაგრამ მათი ნებაა, რას ვიზამთ, დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ... უნდა შევეცადოთ, რომ ეს ადამიანები დავაინტერესოთ და ადგილზე „დავამაგროთ“. თუმცა, როგორც ექსპერტს დემოგრაფიულ საკითხებში, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მაგალითები არ მაძლევს იმის იმედს, რომ ახლო მომავალში ეს საკითხი დარეგულირდება. გადინება გამუდმებით ხდება ევროპიდან ამერიკაში, აზიის ქვეყნებიდან ევროპასა თუ ამერიკაში - გადაადგილდებიან სხვადასხვა ქვეყნებში, რადგან ეს მსოფლიო მასშტაბით ძალიან გამარტივდა, მაგრამ, ყოველთვის ყველაფერი რეგულირდება და ვიმედოვნებ, ეს საკითხიც აუცილებლად ქვეყნის სასარგებლოდ გადაწყდება.

ასეთ შემთხვევაში ყოველთვის მომყავს მაგალითი, როცა მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ და მხოლოდ 400 ათასი იყო და, ფაქტობრივად, გაქრობას გვიწინასწარმეტყველებდნენ. შემდეგ ქართველების რაოდენობამ იმატა და 700 ათასს მივაღწიეთ. ერთ საუკუნეში, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, მოსახლეობის რაოდენობამ 2 მილიონს გადააჭარბა. გამუდმებულმა ომებმა, ჭირმა და ქოლერამ მოგვიტანა იმხანად ასეთი შედეგი. ფაქტობრივად, ერის განადგურებას ვარაუდობდნენ, მაგრამ უფლის ხელის გარეშე არაფერი ხდება და ჩვენი ქვეყანა გადარჩა.

ვიცი, ეს რომ ღიად ვთქვა, იტყვიან, აი, ხომ ვამბობთ, რომ „რუსეთუმეაო“, მაგრამ ფაქტები მეტყველებენ, რომ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გაიზარდა. დასრულდა ომები, სიკვდილიანობა, ჭირი... მოსახლეობა ნელ-ნელა სიცოცხლისუნარიანი გახდა და დაიწყო შობადობის ძალიან მნიშვნელოვანი ზრდა. თუ მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის 2 მილიონამდე ვიყავით, 1988 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა უკვე 5 500 000-ს შეადგენდა... ამიტომ, იმედი მაქვს, რომ მდგომარეობის გამოსწორება ყოველთვის შეიძლება. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, თუმცა, მხოლოდ ამის იმედად ვერ ვიქნებით. აუცილებლად უნდა ვეცადოთ, რომ უახლოეს მომავალში დადებითი ბალანსი მივიღოთ. სწორედ ამ მიზნით შექმნა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობაში დემოგრაფიული საბჭო. გარდა იმისა, რომ 16 ინიციატივა საქართველოში უკვე განხორციელდა, ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტში დამატებით ძალიან მნიშვნელოვან ინიციატივებზე ვმუშაობთ, რომელთა შესახებაც ახლო მომავალში აუცილებლად გიამბობთ.

ნონა ქარქაშაძე

ეროვნულ ბანკს ინფლაციის მოთოკვა მოეთხოვება, რასაც არ აკეთებს

გვესაუბრება საბანკო საქმის ექსპერტი, პროფესორი ლია ელიავა:

— ქალბატონო ლია, პარლამენტმა „ეროვნული ბანკის“ შესახებ კანონში“ ცვლილებებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები არ გაითვალისწინა და ვეტო დაძლია.

— საქმე ისაა, როცა „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტი შვებულებაში ან მივლინებაშია, მისივე გადაწყვეტილებით, ფუნქციების დელეგირება ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტზე გადადის. თუ „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტს კანონით დაკისრებული ვადა გაუვიდა, მის ფუნქციას, საბჭოს გადაწყვეტილებით, ისევ ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი ასრულებს. დღეს შექმნილ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ — პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში, „ეროვნული ბანკის“ საქმიანობა არ ზარალდება. რაც შეეხება პოლიტიკურ ჭიდაობებს, მართებულად არ მიმაჩნია, როცა საქართველოს პრეზიდენტი გაუგებარი მოტივებით, უარს ამბობს საკუთარი ფუნქციების შესრულებაზე, კანონის აღსრულებაზე და „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატურის წარდგენაზე. ასეთ ვითარებაში, მმართველი გუნდის გადაწყვეტილება, აბსოლუტურად ბუნებრივია, რათა სამომავლოდ „ეროვნული ბანკის“ ხელმძღვანელობის სფეროში ვაკუუმი გამორიცხონ. ანუ, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნას არა „ეროვნული ბანკის“ საბჭოს მიერ, არამედ ეს პირდაპირ კანონში გაიწეროს. ასეთი პრეცედენტი კიდევ თუ შეიქმნება — „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტს ვერ დანიშნავ პოლიტიკური გაწევ-გამოწევის გამო, კანონით გაწერილი იქნება, რომ მის ფუნქციას პირველი მოადგილე შეასრულებს. ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ. საქართველოს პრეზიდენტის ასეთი გაურკვეველი საქციელი, გაუგებარია. თუ მას მმართველი გუნდის მხარდაჭერილი კანდიდატურა არ მოსწონს, თავისი მაინც შესთავაზოს. რაღაც კომპრომისამდე თუ მივა ეს საქმე, კარგი იქნება. ზოგადად, ხელისუფლების შტოების ერთმანეთთან ჭიდილი არც ქვეყანას რგებს და არც მორალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კლიმატს.

— ზურაბიშვილი ამბობს: პირველი ვიცე-პრეზიდენტის ინსტიტუციის შემოტანა, „ეროვნულ ბანკს“ ხელისუფლებაზე დამოკიდებულს ხდისო.

— ეს უარგუმენტო განაცხადია. სინამდვილეში, ბანკს უსაზღვრო დამოუკიდებლობა აქვს. ის დამოკიდებული არ არის არც პარლამენტზე, არც მთავრობაზე და ა.შ. ერთადერთი, მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდზეა დამოკიდებული. ამიტომ თითქოს ხელისუფლება „ეროვნულ ბანკს“ დამოუკიდებლობას უზღუდავს, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. „ეროვნული ბანკი“ ისედაც ვერ ასრულებს კარგად თავის ფუნქცია-მოვალეობებს. მასზე თანამდებობრივ სტატუსებს არანაირი გავლენა არ აქვს.

— დიდი განხილვა მოჰყვა საკითხს, თუ რამდენი წევრი უნდა იყოს საბჭოში აღმასრულებელი და რამდენი არააღმასრულებელი. მეხუთე აღმასრულებელი წევრის დამატებით, ხელისუფლება ბანკზე კონტროლს ცდილობსო. რეალობა როგორია?

— აღმასრულებელი პირები „ეროვნული ბანკის“ საქმიანობის სფეროს კურირებენ, რაზეც პასუხისმგებელნი არიან. დანარჩენი ოთხი წევრი პასუხისმგებელი არაფერზეა. ისინი მონაწილეობას იღებენ მხოლოდ საბჭოს მთლიანი შემადგენლობის მიერ დაყენებული საკითხების განხილვასა და კენჭის ყრაში. განსხვავებით აღმასრულებელი საბჭოს წევრებისგან, ისინი, უშუალოდ, გადაწყვეტილებების მიმღებნი არ არიან. კანონში ცვლილება თუ მოხდება, უპრიანია, საბჭოს წევრები აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელნი საერთოდ არ იყვნენ. ანუ, „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი ცალკე დაინიშნოს, ხოლო საბჭო განყენებული სტრუქტურა იყოს, რომელზეც ზემოქმედება შეუძლებელი იქნება. სხვადასხვა ქვეყანაში ცენტრალური ბანკების საქმიანობა სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ზოგან ცენტრალური ბანკები ფინანსთა სამინისტროს ემორჩილებიან, ზოგან მთავრობაზე ნაკლებად დამოკიდებულნი არიან და ა.შ. ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია „ეროვნული ბანკი“ კანონით დაკისრებულ მოვალეობებს ჯეროვნად ასრულებდეს. სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ ხდება.

— რას გულისხმობთ, რა ვალდებულებებს არ ასრულებს „ეროვნული ბანკი“?

— „ეროვნული ბანკის“ შესახებ ორგანულ კანონში“ გაწერილი მისი მთავარი ამოცანა — ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა, რასაც ის საერთოდ ვერ ასრულებს. ფასების სტაბილურობა ნიშნავს, რომ ქვეყანაში სტაბილური ინფლაციის მაჩვენებელი უნდა არსებობდეს, რომელიც რადიკალურად არ უნდა იცვლებოდეს — 4%-დან უცებ 12%-ზე არ უნდა გადახტეს. ეს კანონის პირდაპირი მოთხოვნაა. ანუ, მთავარი ამოცანა ესაა. ბანკის ხელმძღვანელობა სწორედ ამაზე უნდა ზრუნავდეს. შემდეგ მოდის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. როგორც იცით, საქართველოში ინფლაცია კატასტროფულად მერყეევია, რაც განპირობებულია ან გარე ფაქტორებით, ან იმპორტირებული ინფლაციით, ან შიდა ფაქტორებით. ეს გახლავთ ლარის გაცვლითი კურსი, რაც ძლიერად მოქმედებს ფასების დონეზე, შესაბამისად, ინფლაციის მაჩვენებელზეც. აი, ეს არის მთავარი, რაც ბანკმა უნდა გააკეთოს და ვერ აკეთებს — „ეროვნული ბანკი“ ვერ უზრუნველყოფს ინფლაციის მაჩვენებლის სტაბილურობას, რითაც საქართველოს ეკონომიკას სერიოზულად აზიანებს.

— ბოლო წელიწადნახევარი, როცა ორნიშნა ინფლაცია გვქონდა, საბანკო სისტემა რეკორდულ მოგებაზე გავიდა. გამოდის, ეს შემთხვევით არ მომხდარა?

— ბოლო პერიოდის ინფლაციური ტენდენციები, ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოშია მოდებული, როგორც ევროპის ქვეყნებში, ისე აშშ-ში. ამ ინფლაციაში საქართველოს დანაშაულებრივი წილი, შედარებით ნაკლებია. მეტწილად, ეს იმპორტირებული ინფლაციაა. მაგრამ „ეროვნულ ბანკს“ გააჩნია გარკვეული ინსტრუმენტები, რომლის გამოყენებაც ინფლაციის დასარეგულირებლად შეუძლია. მას ამ ინფლაციის მოთოკვა მოეთხოვება, რასაც არ აკეთებს. მაგალითად, ჩვენი საზოგადოება ხედავს, რომ აშშ სხვადასხვა ზომებს იღებს, რათა ინფლაცია დაარეგულიროს, რამაც გარკვეული ეფექტი იქონია კიდეც. და რას აკეთებს „ეროვნული ბანკი“ გარდა იმისა, რომ რეფინანსირების განაკვეთს ზრდის?!

— კიდევ ერთი მთავარი თემა ამ კვირაში ის იყო, რომ ითქვა: „ეროვნული ბანკი“ და სავლუტო ფონდი, ქვეყნის საზიანოდ, შეთანხმებულად მოქმედებენო. საქმე ისაა, რომ სავალუტო ფონდის პროგნოზები საქართველოს ეკონომიკური პროგრესის მაჩვენებლებს ბევრად ჩამორჩება.

— ეკონომიკაში პროგნოზების კეთება, რთულია. ეკონომიკა და პოლიტიკა გადაჯაჭვულია — პოლიტიკაში პატარა ცვლილებები, ეგრევე ეკონომიკური პროგნოზების ჩავარდნას იწვევს. რაც შეეხება სავალუტო ფონდს, ის ამ პროგნოზებს ყოველთვიურად აკეთებს, რისთვისაც ფულია გამოყოფილი. მისი პროგნოზები არაფრისმთქმელია, ამას განსაკუთრებულ ყურადღებას არც ვაქცევ. სავალუტო ფონდში ჩვეულებრივი ეკონომისტები მუშაობენ, რომლებიც ვარსკვლავებს არ წყვეტენ. ისინი საშუალო დონის ეკონომისტები არიან. ამ პროგნოზებზე სახელმწიფო პოლიტიკის აგება, ძალიან დიდი შეცდომაა. იმიტომ, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდში არ არის პროფესიონალების ის ნაკრები, რომელთაც დანამდვილებით რაიმეს თქმა შეუძლიათ.

სავალუტო ფონდი საქართველოს დაზიანებით დაინტერესებული არ არის. მას თავის მარტივი მიზნები გააჩნია — ქვეყანაში სტაბილურობა იყოს და ფული თავისუფლად გადიოდეს და შემოდიოდეს. ამის ცხადი მაგალითია ის, რომ „ეროვნული ბანკი“ სავალუტო ფონდთან შეთანხმებით საქართველოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვებს იმ ორგანიზაციებში — კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებში ანთავსებს, რომელზეც მას სავალუტო ფონდი მიუთითებს. რატომ აკეთებს ამას ეროვნული ბანკი, მას უნდა ვკითხოთ. ფაქტია, ნაცვლად იმის, რომ მან ფული საქართველოს კომერციულ ბანკებში დააბანდოს, უცხოეთის გაურკვეველი წარმოშობის კომერციულ სტრუქტურებში აბანდებს. თან, საკმაოდ დაბალი პროცენტით. მეორეც, როდესაც სავალუტო ფონდის მისიები ჩამოდიან და რეკომენდაციებს წერენ, ადგილობრივი „ეროვნული ბანკის“ თანამშრომლებს არ გააჩნიათ იმის უნარი, რომ მათ შეეწინააღმდეგონ და უთხრან: ეს გადაწყვეტილება საქართველოსთვის საზიანო იქნება; ამის გაკეთება ჯერჯერობით არ ვარგა და ა.შ. ეს რომ უთხრან, კიდეც უნდა დაუსაბუთონ, რისი გამკეთებელიც „ეროვნულ ბანკში“ არავინაა. ამიტომაც არის

აქ სავალუტო ფონდი გაპარპაშებული, მას აქ თავის თანამშრომლებიც კი ჰყავს დანიშნული, რომლებიც ხელფასს „ეროვნული ბანკიდან“ იღებენ. ფაქტობრივად, „ეროვნული ბანკი“ საქართველოს კი არა, არამედ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრუქტურაა და მას ემორჩილება. სამწუხაროდ, ასე ჩამოყალიბდა.

— რუსეთის მოქალაქეებს ანაბრების მოზიდვის შესაძლებლობა შეეზღუდათ. ეს რა საფრთხეებს ქმნის ქართული ეკონომიკისთვის?

— ეს მაღალი გადინების რისკის ანაბრებია. ანუ, დღეს შემოაქვთ ფული, ხვალ შეიძლება — უკან გაიტანონ. კომერციული ბანკი თავის საქმიანობას მოზიდულ თანხებზე აწყობს — სესხს, ძირითადად, ამ თანხებით გასცემს. თუ ვთქვათ კომერციულმა ბანკმა რუსეთის მოქალაქეების ანაბრებზე დაყრდნობით, დიდი ოდენობით სესხი გასცა და მერე, ამ მოქალაქეებმა ეს ფული უცებ გაიტანეს, კომერციულ ბანკს ფინანსური ანგარიშგებისა და სტაბილურობის პრობლემა უჩნდება. „ეროვნული ბანკი“ ცდილობს კომერციული ბანკები ასეთი ნეგატიური პროცესებისგან დააზღვიოს. საგანგაშო არაფერია. „ეროვნული ბანკი“ კომერციული ბანკების რისკებს ითვალისწინებს და მის მინიმუმამდე დაყვანას ცდილობს.

— ეროვნული ვალუტის მერყეობაზე რას გვეტყვით?

— ლარის მერყეობა, ეს არის ინფლაციის წყარო, ბიზნესისთვის პრობლემების შექმნა, მოსახლეობისთვის გაღატაკების პროცესისთვის ხელშეწყობა. ეროვნულ ბანკს, ისევ და ისევ სავალუტო ფონდის რჩევით, ლარის კურსის მართვაზე ხელი აღებული აქვს, რადგან რაც შეიძლება ნაკლები სავალუტო რეზერვები დახარჯოს. შედეგად, კურსის ძალიან მკვეთრი რყევა, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას აზიანებს. ლარის გამყარება „ეროვნული ბანკის“ ქცევაზეა დამოკიდებული — თუ „ეროვნული ბანკი“ ფინანსური სექტორის სპეკულაციურ მიზნებს არ შეეწინააღმდეგა, მაგალითად, დროებით ლარის კურსის ვარდნის პროცესს, ჩვენ გვეყოლება დაზარალებული მოსახლეობა და ბიზნესი. სამწუხაროდ „ეროვნული ბანკი“ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას ხელს არ უწყობს.

— სავალუტო ფონდმა პრეზიდენტის ვეტოს დაძლევაზეც კრიტიკული განცხადება გააკეთა. ისიც კი ითქვა: შეიძლება ფონდმა საქართველოს დაფინანსება შეუწყვიტოსო.

— არა, ეს არ მოხდება. საქმე ისაა, რომ სავალუტო ფონდს ამ ინფორმაციას „ეროვნული ბანკი“ აწვდის, თან ისტერიულ ფორმაში — არიქა, ვიღუპებით და გვიშველეთო. სინამდვილეში, ეს „ეროვნული ბანკის“ ისტერიკაზე სავალუტო ფონდის რეაქციაა და მეტი არაფერი. ყველაფერი ჩაივლის. ვიმეორებ, ხელისუფლებისგან „ეროვნული ბანკის“ დამოუკიდებლობასთან პირველი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებას არავითარი კავშირი არ აქვს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

მაღაროელების ბედი არავის აინტერესებს!

ისტორია მოკლედ და ზედაპირულად

...გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოში, კერძოდ, ჭიათურაში, პირველი ამერიკელი ინვენსტორი უილიამ ავერელ ჰარიმანი ჩამოვიდა (რომელიც ათწლეულების შემდეგ ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი გახდა, სხვადასხვა დროს იყო შეერთებული შტატების ელჩი საბჭოთა კავშირსა და დიდ ბრიტანეთში, ამერიკის პრეზიდენტობის ორგზის კანდიდატი, აშშ-ის კომერციის მინისტრი). ჰარიმანი საკუთარ მოგონებებში წერს: „ადრე ძალიან პრიმიტიული ხელსაწყოები ჰქონიათ, თუმცა გაცვეთილ-გაფუჭებული. ამიტომაც, ფეხშიშველი ქართველი და სომეხი მუშები, ძონძებში ჩაცმული, თოხით და ბარით თხრიდნენ, მოპოვებულ შავ ოქროს ვირებს აჰკიდებდნენ და ასე ჩაჰქონდათ მატარებლის ვაგონებამდე. ღამე მუშებს მიწაზე ცხოველებთან ერთად, ბოსელში ეძინათ“. ჰარიმანი თავის წიგნში, ასევე, წერდა, რომ თურმე მაშინდელი პროფკავშირი ვერ იტანდა კაპიტალისტებს. აქეზებდნენ კიდეც მუშებს, რომ ეს „გარიგება არამეგობრული და ქვეყნისთვის სამტრო“ იყო. ამიტომაც, მაღაროებშიც კი ყოფილა მტრობა კომუნისტებსა და არაკომუნისტებს შორის - შეთქმულად არაპროდუქტიული იყო მუშათა ზოგიერთი დანაყოფი და მიდიოდა დაუსრულებელი დასმენები ბრიგადირებსა და მუშებს შორისო. კიდევ ბევრი ტყუილი დაწერა „ინვენსტორმა“, მათ შორის ისიც, რომ თითქოს მას სირთულეები შეექმნა კონცესიის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით და ამიტომაც, სრული ფინანსური კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით, მიმართა ხელშეკრულების შეწყვეტის საარბიტრაჟო დათქმას.

აი, რა ხდებოდა სინამდვილეში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა ნიუ-იორკის საერთაშორისო სასამართლოში ბრწყინვალედ დაიცვა ჭიათურისა და ფოთის მუშათა პროფკავშირების ინტერესები ამერიკელი მრეწველის, ჰარიმანის წინააღმდეგ. ფაქტობრივად, საქართველოს ინტერესები იყო დაცული და ამ ფაქტს გამოეხმაურა, როგორც საბჭოთა, ასევე უცხოეთის პრესა, რის შესახებაც ჰარიმანი „მოგონებებში“ დუმს!

ამერიკის ბურჟუაზიული გაზეთები იძულებული იყვნენ, ეღიარებინათ ჰარიმანის უკანონო მოქმედება და პროცესში ქართველი იურისტის ბრწყინვალე გამარჯვება.

საკონცესიო ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც 1925 წლის 12 ივნისს დაიდო, ჰარიმანს ჭიათურის შავი ქვის მაღაროებში მოპოვებული მადანი მთლიანად საზღვარგარეთ უნდა გაეტანა. ბოლო წლებში ჰარიმანი ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა და სისტემატიურად არღვევდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მუშათა შრომის ანაზღაურების წესს. 1928 წლის დასაწყისში მუშათა პროფკავშირის კომიტეტმა ჭიათურის სასამართლოში სარჩელი შეიტანა ჰარიმანის წინააღმდეგ მისი დავალიანების იძულებითი წესით ანაზღაურების შესახებ. დავალიანებამ იმ დროისათვის ცხრაას ათას მანეთს მიაღწია. ამავე დროს, ჰარიმანის წინააღმდეგ აღიძრა მეორე საქმე ფოთის ნავსადგურის მტვირთავთა პროფკავშირის ინიციატივით, მუშათა ხელფასის დავალიანების გამო. ყველა სასამართლო ინსტანციამ სწორად ცნო მუშათა მოთხოვნები და დავალიანების გადახდა ჰარიმანს დააკისრა. ის სასამართლოების გადაწყვეტილებებს არ დაეთანხმა და საკითხი განსახილველად საერთაშორისო სასამართლოში გადაიტანა, სადაც მის ინტერესებს ცნობილი ამერიკელი იურისტები იცავდნენ.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, თავისი დიდი ერუდიციით, იურისპრუდენციის ზედმიწევნით კარგად ცოდნით, შეძლო გაეცამტვერებინა და ემხილებინა ჰარიმანის ყველა იურიდიული ხრიკი, რომელიც მისმა იურისტებმა ჯერ კიდევ საკონცენსიო ხელშეკრულების შედგენის დროს გამოიყენეს და შემდეგაც აპირებდნენ მათ გამოყენებას. ჰარიმანმა საქმე წააგო. გარდა დავალიანებისა, მას საკმაო რაოდენობის სასამართლო ხარჯების საკონცენსიო პირობების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდაც მოუხდა. რაც მთავარია, ამ პროცესის შედეგად საკონცენსიო ხელშეკრულების მოქმედება შეწყდა. აღნიშნული ხელშეკრულება დადებული იყო ოცი წლის ვადით. ჰარიმანს კონცესიაზე უნდა დაენერგა ტექნიკა ოთხი მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდებით, შორაპან-ჭიათურის ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა გადაეყვანა ფართო ლიანდაგებზე და ექვსი წლის განმავლობაში აეშენებინა ფერო-მარგანეცის ქარხანა.

ჰარიმანის მთავარი მიზანი მარგანეცით ვაჭრობის მსოფლიო მონოპოლიის მოპოვება გახლდათ. როგორც შემდგომში გაირკვა, ხელშეკრულების დადების დროს ჰარიმანს არ ჰქონია განსაზღვრული, თავიდანვე შედგომოდა ჭიათურის მარგანეცის ექსპლოატაციას, მას წილი ჰქონდა ოქროს კუნძულების მარგანეცში, რომელიც იმ დროს სწრაფი ტემპით ფართოვდებოდა. ჭიათურის კონცესია ჰარიმანმა აიღო იმისთვის, რომ მას ვინმე სხვა კონკურენტი არ დაპატრონებოდა და ჰქონოდა ისეთი რეზერვი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე სათანადო მანევრირების საშუალებას მისცემდა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელება ჰარიმანმა დაიწყო ნელი ტემპით და ჭიათურის საბადოები, ფაქტობრივად, კონსერვაციაში მოაქცია. ტექნიკური გაუმჯობესება, მაღაროების და გზების მშენებლობა თითქმის არ წარმოებდა და არც ქარხნის მშენებლობა დაწყებულა. იმის გამო, რომ ინგლის-ინდოეთის კომპანიის საქმეები კარგად არ მიდიოდა, ჰარიმანი მსოფლიო ბაზარზე მარგანეცის დეფიციტს უცდიდა, რასაც პროდუქციის ფასი უნდა გაეზარდა. ამით ჰარიმანს მიეცემოდა საშუალება, ფართო მასშტაბით განეხორციელებინა თავისი გეგმები. იგი ფიქრობდა თავისი მარგანეცის ფასის დაწევას და ყველა კონკურენტის ეკონომიკურ დათრგუნვას. ჰარიმანი მოტყუვდა, მის ძლიერ კონკურენტად გადაიქცა ნიკოპოლის მარგანეცი, რომელიც უპირატეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. აღნიშნულ პერიოდში მოხდა ნიკოპოლის მარგანეცის მთლიანი ნაციონალიზაცია, საბჭოთა მთავრობამ გერმანელებისგან შეიძინა ტექნიკა და მისი დანერგვით გაფართოვდა. ამერიკის მთავრობამ წარმოადგენდა ყველაზე მძლავრ ფაქტორს, რომელმაც მარცხი მოუტანა ჰარიმანის პოლიტიკას. ჰარიმანმა თხოვნით მიმართა საბჭოთა მთავრობას ხელშეკრულების გადახედვის შესახებ. საბჭოთა მთავრობა დათმობაზე წავიდა, გაათავისუფლა ჰარიმანი რიგი ვალდებულებებისგან, მაგრამ მისი მდგომარეობა ვერ გამოსწორდა. ჰარიმანის ცუდმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გააძლიერა მისი კონკურენტები და გაართულა ჭიათურის მარგანეცის ექსპორტი, რომელიც 1928 წელს არა თუ მომგებიანი, წამგებიანი გახდა. საერთაშორისო სასამართლოში ანდრონიკაშვილის მიერ გამოაშკარავებული იქნა მთელი ის ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც ჰარიმანი ხელშეკრულების დადების მომენტიდან მის შეწყვეტამდე აწარმოებდა... ჭიათურელ მაღაროელებს საუკუნის შემდეგ კვლავ ამერიკაში დარეგისტრირებული კომპანია უშრობს სისხლს.

2006-2023 წლები

“ჯორჯიან მანგანეზი” საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი სამთო-მომპოვებელი და ფეროშენადნობების უმსხვილესი მწარმოებელია. კომპანია რამდენიმე ძირითად ობიექტს აერთიანებს, მათ შორისაა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც კომპანიის საბოლოო პროდუქტებს - ფერომანგანუმს აწარმოებს. ჯგუფის შემადგენლობაში შედის ჭიათურის სამთო გამამდიდრებელი კომბინატი და ვარციხეჰესი, რომლის მიერ გამომუშავებული ენერგიითაც პროდუქციის მოპოვება და წარმოება ხდება.

კომპანიის საქმიანობა საქართველოში 2006 წელს დაიწყო. 2006 წლის 11 ნოემბერს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ჩატარებულ საჯარო აუქციონზე, ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებასთან ერთად, სს “ჭიათურმანგანუმის” აქტივებიც გაიყიდა. აუქციონში გაიმარჯვა “ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგ ლიმითედმა“, რომელიც მანამდე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის და ვარციხეჰესის კასკადის მფლობელი გახდა.

იურიდიულად, “ჯორჯიან მანგანეზის” მფლობელს ლუქსემბურგში დაფუძნებული ”ჯორჯიან ამერიქენ ელოიზი” (GAA) წარმოადგენს. თავად GAA-ის ლუქსემბურგის ოფისი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდის შტატში დაფუძნებული ამავე სახელწოდების კომპანიის შვილობილია.

2016 წელს კომპანიას უპრეცედენტო მასშტაბის - 400 მილიონ ლარზე მეტი მოცულობის ჯარიმები დაეკისრა, რომელთა მიზეზიც გარემოსდაცვითი პირობების უგულებელყოფა იყო. 2017 წლიდან, სასამართლოს განჩინების შესაბამისად, მიყენებული ზიანის აღდგენისთვის კომპანიაში სპეციალური მმართველი, ნიკოლოზ ჩიქოვანი დაინიშნა. სასამართლოს განჩინების შედეგად, მას 3-წლიანი ვადა მიეცა, რათა სხვადასხვა მიმართულებით არსებული დარღვევები გამოსწორებულიყო. ამ გადაწყვეტილებით, იგორ კოლომოისკი ჯგუფის ფაქტობრივ მართვას ჩამოშორდა, თუმცა, მის მესაკუთრედ დარჩა.

2019 წლის განმავლობაში საქართველოდან $303 მილიონი დოლარის ღირებულების ფეროშენადნობების ექსპორტი განხორციელდა. ამ თანხის ნახევარზე მეტი, სავარაუდოდ, “ჯორჯიან მანგანეზზე” მოდის, თუმცა, ზუსტი რიცხვები საჯაროდ ცნობილი არ არის, რადგანაც კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებას არ ასაჯაროებს. ასევე, უცნობია, როგორია გადანაწილება იგორ კოლომოისკისა და “ჯორჯიან მანგანეზის” ფაქტობრივ მენეჯმენტს შორის.

ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული მინიშნება ჩანს ლონდონის სასამართლოს ჩანაწერებში. 2021 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებაში საუბარია იმის შესახებ, რომ იგორ კოლომოისკი “ჯორჯიან მანგანეზის” და “ვარციხეჰესის” წილის ერთ-ერთ არაპირდაპირ მესაკუთრედ ბიზნესმენ გიორგი კაპანაძეს ასახელებს. თავად გიორგი კაპანაძე დაკავშირებულია იმ ბიზნესჯგუფთან, რომელიც ამჟამად “ჯორჯიან მანგანეზს” ფაქტობრივად მართავს.

რა ხდება დღეს:

“უჰაერობაში, სიბინძურეში და უხელფასობაში გვიწევს მუშაობა. მოთხოვნები კი ორმაგი და სამმაგი აქვთ”. “შშრომელს თუ უხდიდნენ, პირობითად 150 ლარს, ახლა ეუბნებიან – უნდა გამიკეთო 200 ლარის საქმე, მაგრამ 150 ლარსაც ვეღარ მოგცემო”. “კომპანია ზარალშია, უნდა ვიზრუნოთ მისი გადარჩენისთვის და გაჭირვებიდან რომ ამოვა, მერე ვისაუბრებთ ყველაფერზეო, სულ ასე წუწუნებენ“, - ეს სიტყვები გაფიცულ ჭიათურელ მაღაროელებს ეკუთვნით, რომლთა ნაწილმა გასულ კვირას პროტესტის უკიდურეს ზომებსაც მიმართა.

“ჯორჯიან მანგანეზმა” მაღაროელებს ახალი გრაფიკი დაუწესა, რის გამოც მეტი დატვირთვით და იგივე ანაზღაურებით მუშაობა უწევთ. კომპანიამ ორცვლიანი 12-საათიანი გრაფიკი სამცვლიანი 8-საათიანით შეცვალა. “ჯორჯიან მანგანეზი” ირწმუნებოდა, რომ ხელუხლებელი დარჩებოდა ხელფასების ოდენობა, დასვენებისა და მუშაობის საათები, მაგრამ ასე არ მოხდა. როგორც მაღაროელები ჰყვებიან, კომპანიამ მეტი საქმის კეთება მოისურვა იგივე ან კიდევ უფრო მცირე გასამრჯელოს სანაცვლოდ... თითქმის საუკუნეა, ჭიათურელი მაღაროელები შესაბამის გასამრჯელოს, მინიმალური პირობების გაუმჯობესებას და ადამიანურ დამოკიდებულებას ამაოდ ითხოვენ, გასულ საუკუნეში დაახლოებით ოთხი ათეული წლის განმავლობაში შედარებით უკეთეს პირობებში მუშაობდნენ და შრომაც უფასდებოდათ, მაგრამ შემდეგ ყოველ წელს უარესდებოდა მათი ყოფა...

შპს “ჯორჯიან მანგანეზის” მფლობელმა შპს “გ.მ. ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგ ლიმითედმა” წილი შპს “ჯორჯიან ამერიქენ ელოიზ”-ზე 2013 წლის 21 მარტს გაასხვისა. “ჯორჯიან ამერიქენ ელოიზი” არის ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული კომპანია, რომლის სათაო ოფისი აშშ-ში მდებარეობს. კომპანია მაღალი ხარისხის ფეროშენადნობს აწარმოებს, რომელსაც რკინის წარმოებისთვის გამოიყენებენ მისი შვილობილი კომპანიები, რომლებიც აშშ-შია განთავსებული. “ჯორჯიან მანგანეზს” საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ 2007 წლის დასაწყისში მიჰყიდა „ჭიათურმანგანუმი“, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა და ვარციხეჰესი. გავრცელებული ინფორმაციით, კომპანიის საკონტროლო პაკეტს ფლობს უკრაინელი მილიარდერი იგორ კალომოისკი, რომელსაც ამერიკელებთან ახლო-მეგობრული ურთიერთობა აქვს.

P.S. შარშან კალამოისკი იმ ბიზნესმენთა ჯგუფში მოხვდა, ვისაც სანქციები დაუწესდა. საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ბორჯომს იბრუნებს. მაღაროელები კი... მაღაროელების ბედი არავის აინტერესებს!

ქეთევან ზარნაძე

ერვანდა და ელტონ ჩკონი

— ზურაა, ზურაჯან, ბიჯოო! — ისეთი ხმით შემოვარდა ერვანდა ეზოში, გული გამისკდა, ომი ხომ არ დაიწყო-მეთქი.

— ამო, რა გაყვირებს, უბანი შეინძრა! — გავძახე და ნანულის ნაჩუქარ ფლოსტლებში გავყავი ფეხი. „ფლოსტლები“ — ასე ჰქვია, ერვანდამ მასწავლა.

— ტო, ეს ელტონ ჩკონი რა კაცია? — შემოენთო და სავარძელში ჩაჯდომამდე მომახალა.

— არის რა, მგონი „ბლექ სი არენაზეც“ უნდა ემღერა რომელიღაც ხუთწლედში, მაგრამ რაღაც მოხდა, ვიღაც ცუდად გახდა და კამპოტი ჩაიშალა. რა იყო, რო?

— მღერობასაც აკეთებს? და სადა? — თვალები გაუფართოვდა ერვანდას.

— ავლაბარში! რა ელტონ ჯონი აგიტყდა ამ ადრიან დილას, რა დალიე წუხელ? — გავბრაზდი.

— კიდე მე დავლიე? მე მაგ შაშა-კოლას ისედაც ხელ არ ვადებ, რა დავლიე! ეს ელტონ მჭყონია გავარიტ... ის გიჟქალა სადღაა, რათ არ შემოვარდება, მაგან იცის მაგნების ამბავი ნაიზუსტ, ერთი სექტაა! სლუში, ამდენი ჩუჟოი დუმები რა პონტია? — ნანულის ფანჯრისკენ ინტერესით გაიხედა ერვანდამ.

— ერვანდ, რა გინდა? — მივხვდი, რომ სხვა ელტონ ჯონზე მეკითხებოდა, მაგრამ ვისზე? ან შაშა-კოლა ვინ იყო? უბნელი კოლა ძიას გარდა არავინ გამახსენდა, ვარდისფერ, მრგვალ ბატიბუტს ყიდდა და ოცნება მქონდა, მისი შვილიშვილი ვყოფილიყავი.

— კიდე მე მინდა? სულ მაგას უნდა, მაგ ჩემის მჭყონიასა! ი მაყუთი, ი გულავი, ი სტოტიში ვრედნობა! ეხლა გავარიტ, აგე, რა ტყუილად მიჩმახეთ, გაყიდვების რაოდენობა არ შემცირებულა, ზნაჩიტ, ვინც რო მაგინებთ, უმცირესობაში ხართ, უმრავლესობას ტრაკი იქა აქ, ვოტ!

— რა სიკვდილი აყვირებს ამ გველების ხელმწიფეს? — დაკაკუნებისა და წინასწარი შემოხმიანების გარეშე შემონარნარდა ნანული, მიიხედ-მოიხედა, თვალით რაღაც მანიშნა და სამზარეულოსკენ გაუხვია. მივხვდი, რაღაც მოიტანა, მაგრამ მხოლოდ ჩემთვის, ერვანდასგან დიდ კნიაზად წოდებული გლეხისთვის. ამასწინათ რომ რაღაც მოიტანა, ისე გააქრო ერვანდამ, ის შეპირებული „ერთი კუსოკიც“ არ შემხვდა.

— ნანულაჯან, ცავატანემ, რათა ვრედნობ? ამას ნახე, ისედაც ამბალია, დვა მეტრა პიატ სანტიმეტრა. რათ უნდა იყოს პატიოსანი კაცი ნანაკონდასავით გრძელი? — არ ვიცი; მე პუჭურა ვარ, — ამას უნდა კვებო და მე ლოგში დამტოვო? — რას გამოაპარებდა ერვანდას.

— ეს რაღას გადამეკიდა? — გაეცინა ნანულის და ხელით ანიშნა, არც გაბედო ნახვა რა მოვუტანეო.

— ვსო, მეჟდუ ნამი ატნაშენია ჩავარდა, ნო, მაგ თქვენ სექტაში სულ დუმებზე იმცქირავთ?

— რა დუმებზე, გველთამზევ? — მე გადმომხედა გაოცებულმა და ბუნებრივად გაღიმებულმა ნანულიმ.

— ნანული, შენ გარდა მაგას ვერავინ დააკვალიანებს. გნატრობდით. გაურკვიე გაუგებრობა, მე თავი დამანებეთ, შარლ მიშელი რას ბოდავს, მაინტერესებს! — მივუშვი ნებაზე ორი გიჟი ჩემი ჭკუით და ორივე ერთად მეცა: ეგ რაღას გადაგვეკიდა?

— მე პარიადოჩნი ქომეხი ვარ! სადმე რო წახვალ, ნანულაჯან, იმითი შლიაპა კი უნდა მიიბა თავზედ, მაგრამ საიდამ წახველ, გულში უნდა გებას! — დააკვალიანა ერვანდამ.

— ბიჭო, „სოლნიშკა“ ვინ სიკვდილია, ნუ გადამრიე! — აკივლდა დაეჭვიანებული ნანული.

მხატვარი იაგო ნიკოლაძე

აბა, მე რა უნდა ამეხსნა, როცა ვერც ღარიბაშვილი ვერ გვიხსნის, ვერც კობახიძე და ვერც მდინარაძე — ნანულის სექტაც კი, რას გადაგვეკიდნენ ეს ევროპელი დიპლომატები...

— ნანულიჯან, ის სოლნიშკა გოგოს ბლიზკა იცნომ? — დაიწყო ერვანდამ საქმის გარკვევა.

— აკი დუმებიო, — შეიცხადა ნანულიმ.

— დუმები ბუდეტ, სპერვა სოლნიშკა! — საკუთარ შეკითხვაზე მყარად დადგა ერვანდა.

— ვაიმეეე, ზურა, რა „სოლნიშკაზე“ ბოდავს? — მუდარით მკითხა ნანულიმ.

— მე შემეშვით! — გავმკაცრდი და შარლ მიშელს მივაპყარი სმენა-გონება. ამაოდ, ვერაფერი გავიგე! კი, ასეა, სიტყვები მესმის, მაგრამ საქმეს ვერ ვხედავ...

— ერვანდ, ნუ გამაცოფე, ამოღერღე, რა გინდა! — იქით ნანული გაუმკაცრდა ერვანდას.

— ვაჰ, კიდე მე მინდა? სულ მე რათ მინდა? ჰო, ესა დიდი კნიაზია, ჰამა გრძელი, მარამ მე რო რადგან და ხანდისხან სულ პუჭურა ვარ, უნდა მიგდო? სლუში და უშტი: ჰაიასა, სუხმე და არმე სუ მე ვარ!

— რა უნდა ამ დებილს? — ისევ მე მომიბრუნდა ნანული.

— სომხეთის ისტორიას გაცნობს, — გამეცინა უბოროტოდ.

— რა ჯანდაბა გინდა, არმენ? — მიუგველა ნანულიმ.

— ნანულაჯან, ის ჯადოკაცი რო გყამთ, ხალხ რო ხელებს უხმობს და თითონ უფრო ხმება, გაიგე, რა თქვა, გავარიტ, იმ ევროპის ბაბოიც ქუნემ, ვინც რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსს მისცემსო. გებნევი რააა, მაგ ტქვენ ნაცსექტაში ყველანი მაგრად ავათა ხართ. ეგ შენი სოლნიშკა კიდე რო შეინთო პეჩკაში, აგე პარლამენტ რომ უძახიან ი ფულ ისროდა, რა პონტი იყო? ჩესტნად გავარიუ, პარლამტენობა მამინდა. მაგარი ხლობაა: ბაზარიშ, ბაზარიშ ი დენგი დაიუტ! ზურაჯან, რომელ სკოლაში უნდა გვევლო, რო ეგნები ვქნებოდით? — დაინტერესდა ერვანდა.

— შე არანორმალურო, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი ხარ, ქართული ვერ გისწავლია, რა პარლამენტარობა გინდა? — გამოენთო ნანული.

— თქვენი მზე, თქვენი სექტის ისტერიჩკა, ჰამა რიჟა უჟასი. ეგა რო ღამე პასტელში მეცეს, დილას კუკიაზე ვიქნები გაშოტილი! სლუში, იგრეთ ყიოდა, პარლამენტის ქანდარადან, მე ხო ჩემ კვარტირაში გამისქდა გული, იქ იმ მალალეტკებსა, ბედნი ბავში ყურებზე იფარებდა ხელებსა. ის პროსტინა რაღა გამოფინა, პირველი ღამიდან გამოჰყვა და რედიკულში ედო? ვაბშეტა, ამ პარლამენტში არავის არაფელი საქმე არა აქთ? გაივლიან-მოივლიან ბაზრობენ ბეზპონტა. აპიატ, გაივლიან-მოივლიან — უბერამენ... ეხლა კიდე რუბლებსა ყრიან. მაიტა მე მამცენ! ჰო, რა იყო, ლЯკას თუ არ ეგრეხება, მე რათ უნდა გამიტყდეს რუსული რუბლები, ჰამა, მილიონნები? ამ ჩუჟოი კანონებმა ხო ტვინის პაკრიშკა წაიღო! ჯერ ხო ჩუჯოი ტრაკები გააკეთეს, ეხლა ჩუჟოი გაგება...

— არმენ, ქაქანით არ დაიღალე? — ახალი სახელი მოუგონა ნანულიმ.

— ვაჰ, რა გამახსემდა, ჩემთვინ იცი, რისი სახელი უნდა დაერქო პაპსა? — იკითხა ერვანდამ და თვალები მიუციმციმა ნანულის.

— ერვანდ, შეეშვი, გეტყვის რო გიურზაო, — გამეცინა და ისევ შარლ მიშელს მივუბრუნდი. ეს ჩვენი ძმა (ირაკლი ღარიბაშვილი) კი კაი ვინმეა, მაგრამ მაგ ევროპელების ნდობა იქნებაა? მოკლედ, სახლშიც საგიჟეთი მაქვს და მსოფლიოშიც საგიჟეთია, სხვა გზა არ არის, ერვანდას უნდა მივუჭახუნო.

— პაპსა უნდა დაერქო პანოსი, ბაბოსა კიდე — თაყვორი., ჩისტაკროვნი სომხური სახელებია. ვა, რა პრიკოლი სახელიამი ვიქნებოდი. ეხლა ძაანაც კარქი სახელი მქვიან, ბლაგაროდნად ისმინება!

— ერთი წამით გაჩუმდით, მომასმენინეთ, რაღაც მაინტერესებს! — დავჭექე ორივეს და უმალ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

— ნანულაჯან, ამ შენი ნაცსექტის ვრედნ მასტებ რა უნდათ? — ჩურჩულით ჰკითხა ერვანდამ ნანულის.

— ვინ არიან ეგ ვრედნები? — თვალები მოწკურა წამიერად ნანულიმ.

— აგე, შენი სასტავი! ზურაჯან, მაგ სიაფანდს რა უნდა? — ყური ცქვიტა ერვანდამაც და ხაბეიშვილზე მიმითითა.

— გურჯაანში წყალდიდობაა და ამათი „ხაბე“ ამბობს, სტიქიაზე კონტროლს ჩემს თავზე ვიღებ ხვალ დილიდანო.

— ვაი, მამანჯაან! სად წავიდე, მე რა უშველოო? — ამოთქვა ერვანდამ.

— კაი, რააა, რომელი „ვადალაზი“ შენ ხარ, ყოველ წელს მასე ხდება, ახლა გაიგე? — აიქნია ხელი ნანულიმ.

— ველისციხეში პრედკები მყავ! ეს ინჩ მაზალო ტიპა! არშაკა პაპა და სირანა ბაბო იქა მარხიან! — აღშფოთდა ერვანდა, გავარდა და მალევე მოვარდა: ვაჰ, მამანჯააან, იმ „ხმობეს“ ნაღდად უთქმია, მე ვარ ატვეჩაი, ველისციხესაც ეშველებაო.

— დაჯე, რააა, რას დარბიხარ? „ხმობე“ არა — მოხარშული წაბლი! — გადავურთე ტელევიზორი, შარლ მიშელისა და ჩვენი პრემიერის შეხვედრის ამბავი მაინტერესებდა.

— ტო, ეგენი წაიღე, სუ მოვლენ ჩერეზ ჩას და ნელ-ნელა უყურებ, „ახალი ამბები“ ჰქვიან. ზურაჯან, მოდი, ეგ „ხაბე“ ნანულას დავაჯახოთ, „ბუნტ ნა კარაბლე“ მიეცემა! — არხეინად მომაბოლა ერვანდამ ის სომხური სიგარეტი, რომელსაც „ტილიანი“ დავარქვი და ისევ სადღაც გავარდა.

ნანულიმ ისევ სადღაც გადართო ტელევიზორი. ამათ ხელში რას ვუყურებ.

— ესა ნახე, რა? იიიიი, ზურაჯან, დავაი, გავგაზოთ, კაი მაყუთს დავიჭირამთ, ტოოო! სადღაც მადგრათ არიგებენ! „შიშკა“ უცემნიათ, ზედ ამ „შიშკას“ სასტავიც მიუყოლებიათ და ამათი დაქოქილი მოხუცი სტუდენტებიც უნივერსტეტშიდა. სლუში, გარეთ ომია, ერთ დღეში სამ ადგილას ყველა ერთმანეთს ურტყმს და ჩვენ არა, — ნეპრილიჩნა! — შემოვარდა აღზნებული ერვანდა.

— ჩვენც გვცემონ, თუ რა გინდა? — გადაირია ნანული.

— ის „შიშკა“ რათა ცემეს, ტოოო, იმიტო რო იძახის ვიკაიფოთ?

— ერვანდ, დაგახრჩობ! რა „შიშკა“, ადამიანურად თქვი! — ეცა ნანული და წამიერად აატაცა „ახტამარის“ ბოთლი.

— ის როა, რიჟა... ერთი ჯიგრიანი კაცი „შეტრუსული გოჭი“ რო დაარქო; რო იძახის „გირჩა“ ვარო, „ჟოპასტენკა“ მასტი. ვაა, რათ ვერა ხვდებით? ისინები კიდე, იმენნა გორის ტრასაზე და ბორჯომებში რათა ჰკლამენ? გავარიტ, ვიკაიფოთ, ჰოდა, ბოლოთ ვინა კაიფობს, ველარ გამიგნია...

— ზურაბ „გირჩი“ ჯაფარიძე? მეთქი, რა „შიშკა“, მეგონა ვიღაც ქელანზე ამბობდი, — ძლივს მივხვდი ვისზე ამბობდა.

— ჰო, ეგა!

— იცი გირჩა რა არის რეალურად? შიშველთესლოვანი მცენარეების სქესობრივი გამრავლების ორგანო, — გავანათლე ერვანდა.

— მეკაიფები?

— სერიოზულად გეუბნები!

— იმიტომაც სუ სექსზე ამბობს და შარვალს იხდის? ბოზჯაფარაა თუ რა სჭირს მაგასა? აგე, თურმე რათ უნდა კაიფი, სუ პლანი და სექსი. თითონ კიდე, სულ ეგა ყოფილა რაღა, ნასტაიაში გირჩა!... ნო, კაიფი მაინც კაიფია, ზურაჯან!

ვიკაიფოთ, ერვანდ, ვიკაიფოთ...

ამაზე მეტი კაიფი რაღა გვინდა, რომ მრავალგზის მოწამლული, ნაწამები და ოთხასი დღის მკვდარი აღსდგა და კონკრეტულად პოლიტიკოსობა უნდა უკრაინაშიც და საქართველოშიც, ბიბლიოთეკარობაზე უარსაა...

მეტი რაღა ვიკაიფოთ, გარღვეულ შაპიტოში ვცხოვრობთ...

ზურა ოუხერელი

დავითი, მეფე „აბხაზისა, შაქისა, ალანისა და რუსის მეფეთა მეფისა!..

ნამდვილად არ გატყუებთ თვალი, მეფე დავითი რამდენიმე სპარსულ დოკუმენტში, სხვა ტიტულებთან ერთად, მოიხსენიება როგორც „მეფე რუსთა.“ თავდაპირველად მეგონა, რომ კავკასიის მთიანეთის რაღაც ტომობრივ გაერთიანებაზე იყო საუბარი, ოღონდ პირუკუ განვითარებით, „როსის ტომის“ მსგავსზე, რაც „რუსის“ წინამორბედი იყო, მაგრამ ინტერესმა სულ სხვა რეალობამდე მიმიყვანა... ძიება „რუსის ქუჩიდან“ დავიწყე, თბილისიდან, დღეს რომ ვლადიმერ ვეკუას სახელობის ქუჩაა, მაგრამ არაფერი მომცა, ნამდვილად „რუსის ქუჩა“ ყოფილა და ასე შევყევი მანამ, სანამ არ მივაგენი იმ ისტორიას, რაც ჩვენ არ გვისწავლია და არც არავის უსიტყვოდ უთქვამს. მადლობის მეტი რა გვეთქმის ბატონი ზურაბ დათუაშვილისათვის, რომელმაც ჩემი გზამკვლევობა ითავა. მოძიებული მასალა შევაკოწიწე, დავალაგე, საგაზეთოდ მოვამზადე და, ვფიქრობ, მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება, ეს ხომ კიდევ ერთი ფურცელია საქართველოს ისტორიიდან, რომლის ბოლომდე ამოგლეჯა არ მოუხერხდა რაღაც ჯგუფს...

ჩემმა ვირტუალურმა მეგობარმა სოციალურ ქსელში ხუმრობით იკითხა; ე ბიჯო, გამაგებინეთ ვინმე მადლიანმა, ჩამოვშალეთ რუსეთიო? და სამი ნიმუში დაურთო:

1. დასათაურება: „პასუხი მეფე დავითს აბხაზის პატრონს“. აღნიშნულ დოკუმენტში ამ გვირგვინოსნის ტიტულთა ვრცელ ჩამონათვალში საყურადღებოა: „აღმოსავლეთისა და დასავლეთის სტეფანოსისა, ქრისტეს სარწმუნოების მცველისა: აბხაზისა, შაქისა, ალანისა და **რუსის** მეფეთა მეფისა“...

2. „პასუხი თბილისის პატრონს მეფე დავითს“ შეიცავს ტიტულატურის შემდეგ ელემენტებს „აბხაზის მეფეთა მეფის, რუმისა და **რუსის** მარზპანის“...

3. „ურწმუნოთა წოდებანი



ხაყანის ენშადან“. ამ წერილის ადრესატი უცნობი ქართველია, რომელიც სხვადასხვა ტიტულატურასთან ერთად ტექსტში მოიხსენიება, როგორც „ალანისა და **რუსის** სარდალი“.

ჩემმა მეგობარმა ვითომ ხუმრობით იკითხა, მაგრამ ქვეტექსტში იკითხებოდა, რომ **„რუსის ამბავი“** აინტერესებდა, მაგრამ პასუხი ვერავისგან მიიღო. ვინ იცის, იქნებ სხვაც დაინტერესდა, მაგრამ არც იმდენად, რომ ჩემსავით კვლევაძიება დაეწყო...

ქართულ ისტორიოგრაფიას საკმაოდ კარგად აქვს შესწავლილი ქართველ მეფეთა ტიტულატურა, რომელიც საფეხურეობრივად ვითარდებოდა და ვრცელ შინაარსს მოიცავდა. ასე ჩამოყალიბდა ბაგრატიონთა მეტყველი და ტევადი სამეფო ტიტულატურა, რომლის პირველმა სრულქმნილმა ნიმუშმა ჩვენამდე გიორგი III-ის მიერ გაცემული სიგელის მეშვეობით მოაღწია.

ბაგრატიონთა ტიტულატურაში თითოეული ელემენტი რეალური და მკაცრად განსაზღვრული შინაარსის მატარებელი ცნებაა, მასში რაიმე შემთხვევითობა ან გაზვიადება გამორიცხულია.

ის, რომ ზოგიერთ აღმოსავლურ წყაროში ბაგრატიონები **რუსთა მეფედ** მოიხსენიებიან, ვფიქრობ, ნამდვილად თანაბრად საინტერესო იქნება, უპირველესად, ქართველისა და რუსისთვის.

„საქართველოს ისტორიიდან კიდევ ერთი ფურცლის ამოგლეჯვის მცდელობა“ შემთხვევით არ მითქვამს, კარგად ვიცით, რა დონეზეა გაყალბებული საქართველოს ისტორია და დაახლოებით რამდენი ათასწლეული აქვთ მოპარული...

საქართველოსთვის საქართველოს ისტორიის ეს ფურცელიც დაიკარგებოდა, რომ არა სრულიად შემთხვევითი მიგნება...

1972 წელს, ჩემი თაობისთვის კარგად ნაცნობი და პატივსაცემი პიროვნება, ირანისტი მაგალი თოდუა სამეცნიერო მივლინებით ირანში იმყოფებოდა და თავრიზის მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში მუშაობდა. როდესაც იგი ერთ-ერთ ძველ სპარსულ დოკუმენტში ცხადად მითითებულ საბუთს წააწყდა, რომ საქართველოს ძლიერების პერიოდში ქართველ მეფეებს სიუზერენული (შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში — მსხვილი ფეოდალი, რომელსაც მეფის უფლებები ჰქონდა მასზე დამოკიდებული ვასალების მიმართ) მიმართება გააჩნდათ გარკვეული რუსული ტერიტორიების მიმართ და ეს მათ ტიტულატურაშიც აისახა, თვალებს არ უჯერებდა. თავდაპირველად ეგონა, რომ გადამწერის კორექტურული შეცდომა იქნებოდა, მაგრამ საკითხის შესწავლამ უჩვენა, რომ ცდომილება გამორიცხული იყო. შესაბამისად, სამეცნიერო წრეებშიც იმ დროიდან გაჩნდა ინფორმაცია, რა დროიდანაც მაგალი თოდუამ ამცნო საზოგადოებას. მან 1979 წელს გამოაქვეყნა სერია „ქართულ-სპარსული ეტიუდები“, სადაც, 24 დოკუმენტიდან რამდენიმეში ნახსენებია **„რუსი“** და კონტექსტიდან ჩანს, რომ **„რუსი“** ქართველ მეფეებზე დაქვემდებარებული იყო.

რა ტიპის წყაროსთან გვაქვს საქმე — დოკუმენტების კრებული „თარასჰოლი“ 1219 წელს არის გადაწერილი და მახლობელი აღმოსავლეთის ხელისუფალთა მიმოწერის ნიმუშებს შეიცავს. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში არსებობდა დიპლომატიური ეტიკეტი, რომლითაც მკაფიოდ იყო განსაზღვრული უცხოეთის სახელმწიფოთა მეთაურებთან ურთიერთობის წესები, ოფიციალური შეხვედრების ცერემონიალი. საქართველოში ასეთი ხასიათის ძეგლს წარმოადგენს, მაგალითად, „ხელმწიფის კარის გარიგება“.

უფრო ნათელი რომ გახდეს, რა მნიშვნელობა აქვს მიმართვის ფორმებს, არაბი ისტორიკოსის ალ უმარის თხზულებიდან ერთ ამონარიდს გაგაცნობთ, სადაც სრული სახით არის დაცული ეგვიპტის სულთნების მიერ საქართველოს მეფეებისადმი გასაგზავნ ოფიციალურ დოკუმენტებში გამოსაყენებელი მიმართვის ფორმა. წყაროში გიორგი ბრწყინვალეს ეპოქის რეალობაა ასახული.

„მაღალი ალლაჰი ხანგრძლივსყოფს ბრწყინვალებას მისი უდიდებულესობისა, დიდებულისა, გულადისა, მამაცის ლომისა, მეთაურისა, მრავალის თავდამსხმელისა, ლომგულისა, ტახტის მპყრობელისა, გვირგვინოსნისა, თავის სარწმუნოებაში განსწავლულისა, თავის სამწყსოს მიმართ სამართლიანისა, საბერძნეთის მეფეთა შორის რჩეულისა, ქართველთა სულთნისა, ზღვებისა და სრუტეების სამეფოს განძისა, რაინდთა სამეფოს დამცველისა, ტახტ-გვირგვინოსანთა შთამომავლისა, რუმისა და ირანის ქვეყნების ზღუდისა, ქრისტიანობის განმამტკიცებლისა, ქრისტიანობის შემწისა, საქრისტიანოს გმირთ მესიისა, თავისი განზრახვით იერუსალიმის განმანათლებლისა, ნათლისღებულთა ბურჯისა, რომის პაპის შემწისა, მუსლიმთა ერთგული მეგობრისა, ახლობელ მეგობართაგან ყველაზე გულწრფელისა, მეფეთა და სულთანთა მეგობრისა“. აღნიშნულ მიმართვაში რეალურად არის ასახული იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ავტორიტეტი ახლო აღმოსავლურ სამყაროში.

მაგალი თოდუა, ცხადია, პირველი იქნებოდა, ვინც შეეცადა აეხსნა, რას ნიშნავდა აღმოსავლურ დოკუმენტებში ნახსენები **„რუსი“** და მოეხდინა მისი სიუზერენი ქართველი მეფეების იდენტიფიკაცია.

მაგალი თოდუას აზრით, პირველი წერილის ადრესატი უნდა ყოფილიყო გიორგი-ლაშა, ხოლო ავტორი — რუმის სულთანი ქაიქავუს I. ასეთი დასკვნის გამოტანაში მეცნიერს ხელი ვერ შეუშალა იმ გარემოებამაც კი, რომ თვითონ დოკუმენტში საუბარია აბხაზის პატრონ მეფე დავითზე და არა გიორგიზე.

რაც შეეხება **„რუსს“**, მრავალრიცხოვანი აღმოსავლური წყაროების შეჯერების საფუძველზე, მკვლევარმა გაიზიარა და განავრცო რუსულ ისტორიოგრაფიაში ფრთხილი ვარაუდის სახით გამოთქმული მოსაზრება მე-12 საუკუნეში რუსთა ერთი შტოს ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრების შესახებ. რადგან ქართველ მეფეთა სამფლობელოები ამ მხარესაც სწვდებოდა, თანადროულ აღმოსავლურ ძეგლებში მათი მოხსენიება რუსების მეფეთა მეფედ, ან მარზპანად, გაოცებას არ უნდა იწვევდესო. უფრო კონკრეტულად, ქართველთა მფლობელობაში არსებულ ტერიტორიად მან იმიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვასთან მდებარე მხარე მიიჩნია.

„თარასჰოლის“ მონაცემები და ქართველ მეფეთა აღმოსავლური ტიტულატურა საგანგებოდ გააანალიზა პროფესორმა დავით მუსხელიშვილმაც. მან შეუძლებლად მიიჩნია „აბხაზის პატრონ დავითის“ გიორგი-ლაშად მიჩნევა და დაასკვნა, რომ დავით აღმაშენებელი უნდა იგულისხმებოდეს. დავითისდროინდელი **რუსის** ძიებამ, რომელზეც, სავარაუდოდ, უნდა გავრცელებულიყო საქართველოს პოლიტიკური ძალაუფლება, მკვლევარი სრულიად საპირისპირო დასკვნამდე მიიყვანა. მისი მოსაზრებით, „თარასჰოლის“ ცნობაში ტმუტარაკანის რუსული სამთავრო უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი.

აღნიშნული პოლიტიკური ერთეული ჯერ კიდევ 944 წელს დაარსდა ტამანის ნახევარკუნძულზე. ის თავდაპირველად ხაზართა ციხე-სიმაგრე იყო, შემდეგ კიევის დიდმა მთავარმა, იგორმა ჩაიგდო ხელში.

რუსულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულებით, ტმუტარაკანის სამთავრო რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის სამფლობელოების ცენტრი იყო, რომელიც მაქსიმალური ძლიერების ხანაში ყუბანს, დონისპირეთსა და ვოლგის ქვემო დინებასაც აკონტროლებდა. ტმუტარაკანი მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში თანდათან დაკნინდა, ხოლო მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში ის ბიზანტიის მფლობელობაში მოექცა.

ტმუტარაკანის სამთავროს მნიშვნელოვანი ნაწილი ისტორიული ჯიქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ქართული წყაროებიდან ცნობილია, რომ ამ მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ჯერ ეგრის-აფხაზეთის, შემდეგ კი გაერთიანებული საქართველოს მეფეები აკონტროლებდნენ. სწორედ ჯიქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი — ნიკოფსი (დღევანდელი ტუაფსეს ჩრდილოეთით, ოციოდე კმ-ის დაშორებით, მდ. ნეგოფსუხოს შესართავთან).

ეჭვგარეშეა, რომ ტმუტარაკანის სამთავროს მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კონტაქტები ექნებოდა აფხაზეთის სამეფოსთან ჯერ კიდევ მე-10 საუკუნის შუახანებში, გიორგი II აფხაზთა მეფის დროს.

სავარაუდოდ, მე-12 საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენა გავრცელდა უკვე დასუსტებულ ტმუტარაკანზე, სადაც საამისო ნიადაგი უკვე შემზადებული იყო. ამაში დიდი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ ჯიქეთის ტერიტორია ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსოში შედიოდა, რომელმაც მე-10-მე-11 საუკუნეთა მიჯნაზე გაწყვიტა კავშირი ბიზანტიის ეკლესიასთან და იერარქიულად მცხეთის საკათალიკოსოს დაექვემდებარა. ცხადია, ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად განაპირობა ქართული კულტურის გავრცელება ჯიქეთის ტერიტორიაზე.

ფაქტი ფაქტად რჩება — აღმოსავლური (ნეიტრალური) და არა ქართული (დაინტერესებული) წყაროების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენა, აბსოლუტურად არაორაზროვნად, რუსულ მოსახლეობაზეც ვრცელდებოდა.

ოდესღაც ჩვენ გვყოლია მეფენი, „მეფენი რუსთა!“

მაკა ჯაყელი

ომების ეკონომიკური მიზეზები



ლუდვიგ ფონ მიზესი

ლუდვიგ ფონ მიზესი იმ მოსაზრების წინააღმდეგი იყო, რომ ომებს ადამიანები აგრესიული ბუნების გამო იწყებენ. მისი აზრით, ომები ეკონომიკური მიზეზების გამო იწყება, უფრო სწორად, იმის გამო, რომ ზოგიერთი ხალხებს არასწორად ესმით თავიანთი ქვეყნების ეკონომიკური ინტერესები. სწორედ ამას ეხება 1944 წელს წაკითხული მისი ლექცია.

ომი კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია. უძველესი დროიდან ადამიანები ებრძოდნენ ერთმანეთს, კლავდნენ და ძარცვავდნენ. თუმცა ამ ფაქტის აღიარება არ ნიშნავს, რომ ომი ადამიანებს შორის ურთიერთობის აუცილებელიო ფორმაა, ადამიანების ცხოვრებიდან მისი გაქრობა ადამიანურ ბუნებას ეწინააღმდეგება და ეს ვერასოდეს მოხდება.

უნდა ვაღიაროთ მილიტარისტული თეზისი იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანისთვის დამახასიათებელია მკვლელობისა და განადგურების ინსტინქტი. თუმცა, ადამიანის დამახასიათებელი არ არის ეს პრიმიტიული ინსტინქტები და იმპულსები. ადამიანი სხვა ცოცხალი არსებებისგან განსხვავდება, რადგან მას გონება და აბსტრაქტულად აზროვნების უნარი გააჩნია. გონება კი ადამიანებს კარნახობს, რომ ადამიანთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობა და ურთიერთქმედება შრომის გადანაწილების საფუძველზე, უფრო სარგებლიანია, ვიდრე მტრობა და ძალადობა.

* * *

„ომების ისტორიაზე არ შევჩერდები. საკმარისი იქნება იმის აღნიშვნა, რომ მე-18 საუკუნეში, თანამედროვე კაპიტალისტური ეპოქის კარიბჭესთან, ომების ხასიათი უკვე აღარ იყო ისეთი, როგორიც ბარბაროსების დროს. ადამიანები ერთმანეთს უკვე აღარ ებრძოდნენ განადგურების ან დამარცხებულების დაპყრობის მიზნით. ომები პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი გახდა და უკვე შედარებით არამრავალრიცხოვანი პროფესიული ჯარების საშუალებით ხორციელდებოდა, რომლებიც, ძირითადად, დაქირავებული ჯარისკაცებით იყო დაკომპლექტებული. ომების მსვლელობისას იკვეთებოდა, რომელი დინასტია იქნებოდა ამა თუ იმ ქვეყნისა თუ პროვინციის მმართველი. მე-18 საუკუნის ევროპის უმსხვილესი შეიარაღებული კონფლიქტები ესპანეთის, პოლონეთის, ავსტრიის ტახტისთვის და ბავარიის მემკვიდრეობისთვის ბრძოლა იყო. უბრალო ადამიანებისთვის ამ დაპირისპირებების შედეგებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და სულაც არ ანაღვლებდათ, ვინ იქნებოდა მმართველი — ჰაბსბურგები თუ ბურბონები.

მიუხედავად ამისა, ეს კონფლიქტები კაცობრიობას მძიმე ტვირთად აწვა. ისინი სერიოზულ წინააღმდეგობას წარმოადგენდნენ ეკონომიკური კეთილდღეობის გზაზე. შედეგად, იმ დროის ფილოსოფოსებმა და ეკონომისტებმა დაიწყეს ომების მიზეზების შესწავლა. ამ კვლევებმა კი შემდეგ შედეგებამდე მიიყვანეს ისინი: წარმოების საშუალებებზე საკუთრებისა და კერძო მეწარმეობის პირობებში, როდესაც სახელმწიფოს ერთადერთი ფუნქცია მოქალაქეების ძალადობრივი და თაღლითური ქმედებებისგან დაცვაა, ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეებისთვის სულ ერთია, ვინ გადმოკვეთს მისი ქვეყნის საზღვრებს. არავის აღელვებს, დიდია თუ პატარა მათი ქვეყანა და დაიპყრობენ თუ არა მას. უბრალო მოქალაქეებს ტერიტორიების დაპყრობა არავითარ სარგებელს არ აძლევს.

თუმცა, მონარქებისა და მმართველი კლასის აზრით, ყველაფერი სხვაგვარადაა. ტერიტორიების გაფართოება მათ შესაძლებლობას აძლევს, გააძლიერონ საკუთარი გავლენა და გაზარდონ გადასახადებით მიღებული შემოსავალი. დაპყრობა მათ აწყობთ და თუ უბრალო მოქალაქეები მშვიდობისმოყვარენი არიან, მმართველები მუდმივად საომრად არიან განწყობილნი.

ამგვარად, მსჯელობდნენ ლიბერალი-კლასიკოსები, ომებისგან ადამიანების დაცვას შეძლებს სისტემა, სადაც ეკონომიკაში ლაისსეზ-ფაირე-ია, პოლიტიკაში კი — ხალხის მმართველობა. ომები წარსულში დარჩება, რადგან მათი დაწყებისთვის მიზეზები აღარ იარსებებს. რადგან მე-18-მე-19 საუკუნეების ლიბერალები დარწმუნებული იყვნენ, რომ ეკონომიკურ თავისუფლებას და პოლიტიკურ დემოკრატიას ვერაფერი შეუშლიდა ხელს, ისინი ამტკიცებდნენ, რომ კაცობრიობა მუდმივი მშვიდობიანი ერის კარიბჭესთან იდგა.

მსოფლიოში მშვიდობა რეალობად რომ იქცეს, აღნიშნავდნენ ისინი, აუცილებელია ეკონომიკური თავისუფლების, თავისუფალი ვაჭრობისა და ხალხებს შორის კეთილი ურთიერთობებისა და სახალხო მმართველობის განმტკიცება. მინდა ხაზი გავუსვა ამ ორი პირობის მნიშვნელობას: შიდა და საგარეო ვაჭრობის განვითარებას და დემოკრატიას. ჩვენი ეპოქის საბედისწერო შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ უარვყოფდით ამ პირობებისგან პირველს, —თავისუფალ ვაჭრობას და აქცენტს მხოლოდ პოლიტიკურ დემოკრატიაზე ვაკეთებთ. ამით ადამიანები იგნორირებენ იმ ფაქტს, რომ მეწარმეობის, ვაჭრობისა და ეკონომიკური თავისუფლების გარეშე დემოკრატია დიხანს ვერ იარსებებს.

პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, იქ დემოკრატია მეფობდეს. პირველი მსოფლიო ომის დროს მიაჩნდათ, რომ მშვიდობის დასამყარებლად საკმარისია, ხელისუფლებას ჩამოშორდნენ გოგენცოლერნების დინასტია და თავადები. ვილსონს არ ესმოდა, რომ იმ პირობებში, როცა სახელმწიფოს გავლენები იზრდება, ეს საკმარისი არ არის. მსოფლიოში, სადაც სახელმწიფოების უფლებამოსილება მატულობს, ომების დაწყებისთვის ეკონომიკური მიზეზები ჩნდება.

მოაქვს თუ არა სარგებელი უბრალო ადამიანებისთვის დაპყრობით ომებს

ცნობილი ბრიტანელი პაციფისტი სერ ნორმან ენჯელი მუდმივად იმეორებს: ცალკეული მოქალაქე ვერავითარ სარგებელს ვერ მიიღებს, თუ მისი ქვეყანა სხვა ტერიტორიებს დაიპყრობს. მისი მტკიცებით, არცერთ გერმანელს არაფერი მიუღია გერმანიის იმპერიისთვის ელზასისა და ლოტარინგიის მიერთების შედეგად საფრანგეთ-პრუსიის ომის (1870-1871 წ.წ.) შედეგად. ის აბსოლუტურად მართალია. მაგრამ ასეთი იყო სიტუაცია კლასიკური ლიბერალიზმისა და მეწარმეობის თავისუფლების დროს. დღეს კი, როცა სახელმწიფო აქტიურად ერევა ეკონომიკაში, ყველაფერი სხვაგვარადაა.

მოვიყვანთ მაგალითს: იმ ქვეყნების მთავრობებმა, სადაც ნატურალურ კაუჩუკს აწარმოებენ, დადეს საკარტელო ხელშეკრულება ამ დარგში მონოპოლიის შესაქმნელად. მათ აიძულეს პლანტატორები, შეემცირებინათ კაუჩუკის წარმოება, რათა მისი ფასი გაზრდილიყო იმაზე მეტად, ვიდრე თავისუფალი ბაზრის პირობებში იყო. ეს გამონაკლისი არ არის. ამგვარი პოლიტიკის საგანი სხვადასხვა მთავრობების მხრიდან გახდა მთელი რიგი კვების პროდუქტები და ნედლეული. მრეწველობის ბევრ დარგში სახელმწიფო იძულებით კარტელიზაციას ახორციელებს, რის შედეგადაც კონტროლი შესაბამის წარმოებებზე კერძო მეწარმეებიდან მთავრობის ხელში გადადის. რა თქმა უნდა, ზოგიერთი ამგვარი ნაბიჯი კრახით დასრულდა, მაგრამ ასეთმა შედეგებმა ვერ აიძულა სახელმწიფოები, უარი ეთქვათ საკუთარ გეგმებზე. მთავრობები ცდილობენ, სრულყონ გამოყენებული მეთოდები და დარწმუნებული არიან, რომ ამ, მეორე მსოფლიო ომის, დასრულების შემდეგ ომები და მათი ახალი ცდები წარმატებით დასრულდება.

(გაგრძელება იქნება)

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ჩვენს უმცროს მეგობრებს, უსიმპათიურეს, უნიჭიერეს და უსაყვარლეს ტყუპებს — ნიტა და ვატო ხარჩილავებს ვულოცავთ დაბადების დღეს!

ჯანმრთელობას, ბედნიერებას, სიხარულს და უდიდეს წარმატებებს ვუსურვებთ სწავლასა და ყოველგვარ საქმიანობაში.

დე, ისეთ საქართველოში ეცხოვროთ, როგორზეც მათი ბაბუა, ჩვენი უფროსი მეგობარი, ბატონი ვახტანგი ოცნებობდა და რომლის კეთილდღეობისთვისაც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში იღვწოდა.

„საერთო გაზეთი“

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99